ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბესიკ ნარაკიძე

თათრული ნაციონალიზმის ტრანსფორმაცია ეთნიკურიდან რელიგიურ (ისლამურ) ნაციონალიზმზე.

ნაშრომი შესრულებულია ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ზურაბ დავითაშვილი,
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი
2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება თათრულ ნაციონალიზმს, კერძოდ მის ტრანსფორმაციას ეთნიკურიდან რელიგიურ (ისლამურ) ნაციონალიზმზე. თანამედროვე მოვლენებიდან ვხედავთ, რომ ისლამი დღითი დღე განიცდის პოლიტიზაციას და ის არა მარტო რელიგიად არამედ ნაციონალიზმის შემცვლელადაც გვევლინება რიგ ქვეყნებში, გამონაკლისი არც რუსეთის ფედერაციაა თავისი რესპუბლიკებით, ერთ-ერთი ასეთია თათრეთის რესპუბლიკა. თათრეთის ქეისი იმითაა საინტერესო, რომ ის არც თუ ისე კვლევადი საკითხია ნაციონალიზმის ქართველი მკვლევარებისთვის და არის სრულიად ახალი მოვლენა ამ მხრივ. ნაშრომში ვითარდება ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ისლამური ნაციონალიზმი თათრეთისთვის არის უფრო ეფექტური გზა რუსული ფედერალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ვიდრე იყო ეთნიკური ნაციონალიზმი. ჰიპოთეზა გამყარებული იქნება ისტორიული წანამძღვრებებით, ქეისებით და კვლევის მეთოდოლოგიით. კვლევის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია კონსტრუქტივიზმი. ვფიქრობ, ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველის ან მკვლევარისთვის საინტერესო და ანალიტიკური ინფორმაციის შემცველი იქნება ჩემი ნაშრომი.

Abstract

The following paper refers to the Tatar nationalism, specifically the tranformation from ethnic to religious (islamic) nationalism. From contemporary events we see that day by day the islam is getting more politized and it is becoming a successor of nationalism for number of countries and Russian Federation is not exception with its republics, one of these is the Republic of Tatarstan. The case of Tatarstan is interesting because it is less examined and completely a new phenomenon for the researchers of nationalism from georgia. The paper develops a hypothesis, according to which the Islamic nationalism of Tatarstan is the more effective way to fight against the Russian federalism, rather than it was ethnic nationalism. The hypothesis will be backed up by historical topics, cases and research methodology. As the theoretical framework is used Constructivism. I think that my work will be interesting and full with analytical information for both, for researchers and just interested readers.

სარჩევი

შესავალი - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -5

1. თეორიული ნაწილი

1. 1 რელიგიისა (ისლამი) და ნაციონალიზმის არსი - - - - - - - -- - - - - - - -- -- - -- - - - -8

1.2 თეორიული ჩარჩო: კონსტრუქტივიზმი -- - - - - - -- - - - - -- - - - - - -- - - - - - -- - - - - - -10

2. თათრეთის ზოგადი დახასიათება (ისტორია, მოსახლეობა, ეკონომიკა) - - - - - - - 12

3. ეთნიკური ნაციონალიზმიდან ისლამურ ნაციონალიზმზე ტრანსფორმაციის ნიშნები

3. 1 თათრული ნაციონალიზმის ფესვებთან --- - -- - - - - - - - -- - - - - - - - -- - - - -- - - - -16

3. 1. 1 თათრეთის ბუნებრივი რესურსები და ეკონომიკური ტრანსფორმაციის თეორია - - - -- -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- -- - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - 19

3. 2 რელიგია, როგორც ნაციონალიზმის შემცვლელი იდეოლოგია - - - - - - - - -- - -21

3. 3 ისლამიზმის აღორძინების განმაპირობებელი ფაქტორები თათრეთის რესპუბლიკაში - - - --- - - - - -- - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - 22

4. ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან

4. 1 ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკა თათრეთის რესპუბლიკასთან მიმართებაში - -- - - -- - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -29

4. 2 რუსული პოლიტიკის პარადოქსი -- - - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - -32

4. 3 ჩეჩნეთის ქეისის პარარელი თათრეთთან - - - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - -35

4. 4 ურთიერთობა ინდივიდებს შორის - - - - -- - - - -- - - - -- - - - -- - - - - -- - - - -- - - - - -- 37

5. დასკვნა - - - - -- -- - - - -------- - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- - - - - -- -

შესავალი

თათრეთის რესპუბლიკა წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ სუბიექტს, რომელიც მდებარეობს ვოლგისპირეთში. აღნიშნული რეგიონი გამოირჩევა ისლამის მიმდევართა სიმრავლით, განსაკუთრებით კი გამოირჩევა ბაშკირეთისა და თათრეთის რესპუბლიკები, მე ამ უკანასკნელზე გავაკეთე არჩევანი, რომელში მიმდინარე ისლამიზაციასაც ეხება ნაშრომი. რუსეთის ფედერაციას უკვე აქვს რადიკალური ისლამის გავრცელების ცხელი წერტილები ქვეყნის განაპირა ტერიტორიაზე (ვგულისხმობ ჩრდ. კავკასიის რეგიონს), არის პოტენციალი რომ ეს ცხელი წერტილი ქვეყნის შიგნით, მოსკოვთან ახლოს აღმოცენდეს (თათრეთში). აღნიშნული ისლამიზაციის პროცესს განვიხილავ, როგორც თათრული ეთნიკური ნაციონალიზმის შემცვლელ იდეოლოგიას, ვინაიდან ვფიქრობ და ფაქტიცაა, რომ ეთნიკური ნაციონალიზმი თათრეთის შემთხვევაში ვერ ამართლებს. ნაშრომში დასმულია შემდეგი **პრობლემა**: ისლამური ნაციონალიზმი, როგორც რუსული ფედერალიზმის საფრთხე. მართლაც, თათრეთის კონკრეტულ ქეისს თუ ჩავუღრმავდებით დავინახავთ, რომ ნაციონალიზმის და ისლამიზმის საკითხი ძალიან მწვავედ დგას ამ რესპუბლიკაში. **საკვლევ კითხვებს** რაც შეეხება არის შემდეგი: 1) რა ფაქტორებმა განაპირობა ეთნიკური ნაციონალიზმის ტრანსფორმაცია ისლამურ ნაციონალიზმზე. 2) რატომ ვერ გაამართლა ეთნიკურმა ნაციონალიზმმა თათრეთის რესპუბლიკაში და 3) არის თუ არა ისლამური ნაციონალზმი უფრო ეფექტური. **ჰიპოთეზის** თანახამად: ისლამური ნაციონალიზმი არის უფრო ეფექტური გზა რუსული ფედერალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ვიდრე ეთნიკური ნაციონალიზმი. **თემის აქტუალობა:** თემა პირველ რიგში იმიტომაა აქტუალური, რომ ის პირდაპირ კავშირშია რუსეთთან, შესაბამისად, რაც აღელვებს რუსეთს (ან ნებისმიერ ჩვენ მეზობელ სახელმწიფოს), ის უნდა გვაღელვებდეს ჩვენც, ან სულ ცოტა, გვაინტერესებდეს მაინც. მეორე, ის ეხება ნაციონალიზმის საკითხს. მესამე, აღნიშნულ თემაზე ძალიან ცოტა ავტორი წერს, შესაბამისად ეს ნაშრომი იქნება სიახლე ნაციონალიზმის კვლევებში. ნაშრომში **თეორიულ ჩარჩოდ** აღებულია **კონსტრუქტივიზმი**. რაც შეეხება კონკრეტულად ნაციონალიზმის თეორიებს, თათრული ნაციონალიზმის ქეისი ყველაზე კარგად აიხსნება მოდერნიზმის **ეკონომიკური ტრანსფორმაციის თეორიით.**

აქვე მინდა მიმოვიხილო ის **ლიტერატურა,** რომელიც გამომადგება კვლევაში. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევასთან დაკავშირებით თითქმის არ არსებობს სახელმძღვანელოები, გთავაზობთ ელექტრონული სტატიებისა და კვლევების მიმოხილვას:

1)http://www.pol.ed.ac.uk/__data/assets/pdf_file/0008/28682/Islam_and_political_evolutions_in_Tatarstan.pdf აზატ ხურმატულინის ძალიან საინტერესო ნაშრომი, რომელიც განიხილავს ისლამისა და პოლიტიკის ევოლუციას თათრეთში. გამოჰყობს ისლამური აღორძინების პირველ ნაბიჯებს და ყურადღებას ამახვილებს ისლამის პოლიტიზაციაზე.

2) რადიკალური ისლამის პოტენციალი თათრეთში (The Potential of Radical Islam in Tatarstan) ასე ქვია პოლიტოლოგ, ედუარდ პონარინის ნაშრომს, რომელშიც მოცემულია საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია რადიკალური ისლამის გავრცელების შესახებ ვოლგა-ურალის რეგიონში. (http://www.policy.hu/ponarin/Ponarin%20Policy%201.pdf)

3) ფედერალიზმის შეცვლა და ისლამური გამოწვევა თათრეთში (Changing Federalism and the Islamic Challenge in Tatarstan) იგივე ავტორის ნაშრომი, სადაც ის ისევ ისლამზე საუბრობს, ასევე, ძალიან დაწვრილებითაა მოცემული თათრული ნაციონალიზმის ისტორია.
(https://www2.gwu.edu/~ieresgwu/assets/docs/demokratizatsiya%20archive/GWASHU_DEMO_16_3/P578K46J61683616/P578K46J61683616.pdf)

4) ისლამური და თურქული ფაქტორები იდენტობის ფორმირების პროცესში და სეპარატიზმის დისკურსი, დაღესტანისა და თათრეთის შედარება (The Islamic and Turkic Factors in Identity formation and Discourses on Separatism, Dagestan and Tatarstan Compared), ჰეიკო შრადერის, ნიკოლაი სკვორცოვის და ბორის ვინას (Heiko Schrader (Magdeburg), Nikolai Skvortsov and Boris Vina (St. Petersburg)) ერთობლივი ნაშრომი, რომლებიც განიხილავს ისლამისა და თურქული ენის ფაქტორს იდენტობის ფორმირებაში და ასკვნიან, რომ გრძელვადიან პერიოდში „ისლამური ქოლგა“ შეიძლება აღმოჩნდეს უფრო ძლიერი ვიდრე ეთნიკური განსხვავებულობა. (http://www-e.uni-magdeburg.de/hschrade/pdf/17.pdf)

5) მათეუ ალენ დერიკის (Matthew Allen Derrick) დისერტაცია თემაზე (Placing Faith in Tatarstan, Russia: Islam and the Negotiation of Homeland), რომელიც მოიცავს თითქმის ყველა ზემოთ აღნიშნულ თემებს, საუბარია თათრეთის ისტორიაზე, რელიგიაზე, ნაციონალიზმზე და პოლიტიკაზე. (https://scholarsbank.uoregon.edu/xmlui/bitstream/handle/1794/12336/Derrick_oregon_0171A_10305.pdf?sequence=1)

6) არ შემიძლია არ აღვნიშნო გალინა იემელიანოვას (Galina Yemelianova) ძალიან საინტერესო ნაშრომი თემაზე: ისლამი და ნაციის მშენებლობა რუსეთის ფედერაციის თათრეთსა და დაღესტანში (Islam and Nation Building in Tatarstan and Dagestan of the Russian Federation, სადაც მიმოხილულია, როგორც სათაურიდან ჩანს, ისლამის როლი ნაციის მშენებლობაში.

7) http://www.rod-pravo.org/islamskaya-severnaya-armiya-ig-obratilas-k-tataram/ პოლიტოლოგის, ისლამიზმის მკვლევარის - რაის სულეიმანოვის სტატია, რომელიც საუბრობს ისლამური რადიკალიზმის საფრთხეებზე და მოჰყავს ერთ-ერთი თათარი ექსტრემისტის საიფუდინ ალ-თათარის მონოლოგი, რომელიც მიმართავს თათარ ხალხს.

8)http://www.archive.gov.tatarstan.ru/_go/anonymous/main/?path=/pages/ru/3ipd/guidebook/ipd_05./ ეს არის თათრეთის რესპუბლიკის ელექტრონული არქივი, სადაც მოცემულია სხავადასხვა თათრული პოლიტიკური გაერთიანებების ისტორია, მოღვაწეობა და მიზნები.

9) http://www.aljazeera.com/indepth/opinion/2014/04/remembering-referendums-tatarst-201441791739224343.html ილდარ გაბიდულინისა და მაქსიმ ედვარდსის საკმაოდ საინტერესო სტატია, რომლებიც მიმოიხილავენ თათრეთის 1992 და ყირიმის 2014 წლების რეფერენდუმებს და ადარებენ ერთმანეთს.

რაც შეეხება **კვლევის მეთოდოლოგია**ს, ნაშრომში გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევა, ასევე რაოდენოვრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი - კონტენტ-ანალიზი, გავეცნობი ინტერნეტ სტატიებს, ოფიციალურ ანგარიშებს, სხვადასხვა ოფიციალური პირების გამოსვლებს, ოფიციალურ განცხადებებსა და დოკუმენტებს. ასევე, პირველადი წყაროების სიმცირის გამო, იქნება პირისპირ ინტერვიუები ისლამიზმის მკვლევარებთან, თათრეთის რესპუბლიკაში დროებით მცხოვრებ ან ნაცხოვრებ ადამიანებთან, რომლებიც უშუალოდ იცნობენ ამ პრობლემას. აღნიშნული კვლევის მეთოდის გამოყენება რელევანტურია წინამდებარე ნაშრომისა, რადგან მისი დახმარებით უფრო თვალსაჩინო და ანალიტიკური (არგუმენტირებული) ხდება ჰიპოთეზა.

1. თეორიული ნაწილი

1.1. რელიგიისა (ისლამი) და ნაციონალიზმის არსი

რელიგია: სარწმუნოება, რწმენა, ღმერთის თაყვანისცემა და აღიარება. (http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=2253)

ისლამი: მკაცრად მონოთეისტური მსოფლიო რელიგიაა, რომელიც VII საუკუნეში წარმოიშვა. სიტყვა ისლამი შეიძლება ნიშნავდეს როგორც მორჩილებას, ასევე მშვიდობას, თავისუფლებასა და სხვა. მისი რელიგიური სწავლება დაფუძნებულია ყურანზე, როგორც ღმერთის პირდაპირ სიტყვაზე და სუნნაზე, როგორც ღმერთის მიერ რჩეული მაცნის, მუჰამმადის ქცევით მაგალითზე. ყურანის მიხედვით, ღმერთი არის ერთადერთი და უბადლო. არსებობის მიზეზი კი ღმერთის თაყვანისცემა და მისთვის თანაზიარის არგაჩენაა. ისლამის მიმდევარს ეწოდება მუსლიმი (ასევე მაჰმადიანი, მუსლიმანი ან მუსულმანი). მუსლიმთა დიდი ნაწილი განეკუთვნება მის ორ ძირითად შტოს – სუნიტურსა და შიიტურს. მათ გარდა არსებობენ სხვა მცირე ჯგუფები. დღეისათვის ისლამი დედამიწის თითქმის ყველა რეგიონშია წარმოდგენილი. ბევრგან იგი, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, სახელმწიფო ინსტიტუტის რანგშია აყვანილი და პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული გარემოს ხასიათს განსაზღვრავს. მსოფლიოში მუსლიმთა საერთო რიცხვი ამჟამად მილიარდს აღემატება. ისლამური მრწამსი შედგება ექვსი ძირითადი პირობისგან, რომლებიცაა ღვთის, ანგელოზების, წერილების, მაცნეების, უკანასკნელი დღისა და კარგისა თუ ცუდის ბედისწერის რწმენა.

რაც შეეხება ისლამის მიმართულებებს, გამოვყოფდი სუნიტური ისლამის ერთ-ერთ მიმდინარეობას - **ვაჰაბიზმ**ს, იგი XVIII საუკუნის შუა წლებში საუდის არაბეთში აღმოცენდა. მისი დამაარსებელია მუჰამად იბნ აბდ ალვაჰაბი (აქედან - ამ მიმართულების სახელწოდება - ვაჰაბიზმი). ვაჰაბი თავის მოძღვრებასა და რელიგიურ პრაქტიკას „სუფთა ისლამს“ უწოდებდა და რწმენის ერთადერთ წყაროდ ყურანს მიიჩნევდა. მან გაილაშქრა ტრადიციული ისლამის წინააღმდეგ, რომელიც, მისი აზრით, ისეთ ელემენტებს შეიცავს, რაც ყურანში მოცემული არ არის. ასეთია, კერძოდ, წმინდანებისა და წმინდა ადგილების თაყვანისცემა. ვაჰაბმა მსოფლიოს ისლამიზაციის იდეა წამოაყენა, რაც მისმა მიმდევრებმა აიტაცეს და მეზობელ ქვეყნებშიც დანერგეს.

ვაჰაბიტთა ცნობიერებაში წამყვანი ადგილი უჭირავს ჯიჰადს, ვაჰაბისტები ქმნიან თანამოაზრეთა თემებს - ჯამაათებს, რომლებსაც ცხოვრების მკაცრი რეგლამენტი აქვთ. ჯამაათი უპირისპირდება იმ ისლამურ საზოგადოებას, რომელიც საერო

კულტურაზე უარს არ ამბობს. *ჯამაათის წევრებს რჯულისადმი ტოტალური მორჩილება და საბრძოლო მზადყოფნა ევალებათ.* (http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL1.21&d=HASH0f64c5131c97fee2265472.40)

რაც შეეხება **ნაციონალიზმს**, ეს ტერმინი ორი ძირითადი მნიშვნელობით გამოიყენება - როგორც იდეოლოგია და როგორც გრძნობა. პირველი მნიშვნელობით იგი ემყარება ნაციის, ერის ცნებას და გარკვეულ პოლიტიკურ და კულტურულ მიზნებს ისახავს. მათ შორის უმთავრესია ეროვნული თვითგამორკვევის იდეა, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნეს დამოუკიდებლობის, ირედენტიზმისა თუ სეცესიის გზით. მეორე მნიშვნელობით ნაციონალიზმი არის გრძნობა, რომლის მიხედვითაც ერი და ერი-სახელმწიფო არის უმაღლესი ღირებულება და მათდამი ლოიალობა დომინანტურია ყველა სხვა ლოიალობასთან შედარებით. ე.ი. ეროვნული ინტერესები მაღლა უნდა იდგეს პირად, ნათესაურ, ტომობრივ, კლასობრივ რელიგიურ თუ ზოგადსაკაცობრიო ინტერესებზე. ნაციონალიზმის წარმოშობა XVIII საუკუნის ბოლოს მიეკუთვნება და საფრანგეთის დიდ რევოლუციასა და ნაპოლეონის ომებს უკავშირდება. ევროპის ხალხების უმრავლესობამ მაშინ გააცნობიერა საკუთარი თავი კულტურულ ერთობად (რაშიც დიდი წვლილი შეიტანა მშობლიურ ენებზე წიგნებისა და პრესის სწრაფმა გავრცელებამ ანუ ე.წ. ბეჭდვითმა კაპიტალიზმმა) და მიზნად პოლიტიკურ ერთობად ქცევა დაისახა, რაც საკუთარი ეროვნული სახლმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ბრძოლას ნიშნავდა. გერმანული და იტალიური ნაციონალიზმი გამაერთიანებელი ნაციონალიზმის მაგალითია. ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალეთის იმპერიაში მყოფი ხალხების (ჩეხური, პოლონური, უნგრული, ხორვატული, ბულგარული, ბერძნული, სერბული და ა.შ.) ნაციონალიზმი კი განმათავისუფლებლ ნაციონალიზმს წარმოადგენს. ერისა და სახელმწიფოს შერწყმამ ერ-სხელმწიფოდ სათავე დაუდო საერთაშორისო ურთიერთობების თვისებრივად ახალ ეტაპს და ახალ ფორმას - სახელმწიფოცენტრიზმს. XIX საუკუნეში ნაციონალიზმის იდეოლოგია ევროპიდან „ექსპორტირებულ“ იქნა დანარჩენ მსოფლიოში, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და დეკოლონიზაციის სახით გამომჟღავნდა. ამ ე.წ. ანტიკოლონიური ნაციონალიზმის შედეგად მასოფლიოში ასორმოცდაათამდე ახალი სახელმწიფო წარმოიშვა. თუმცა მათი უმრავლესობა ერ-სახელმწიფოებად ვერ ჩამოყალიბდა. ბევრ მათგანში ეთნიკური ჯგუფების მინი-ნაციონალიზმი (ანუ სეპარატული ნაციონალიზმი) სერიოზულ საფრთხეს უქმნის ამ სახელმწიფოთა მთლიანობას და მათ კვაზისახელმწიფოების, ზოგ შემთხვევაში კი არშემდგარი ქვეყნების რიცხვში აყენებს. ნაციონალიზმი, როგორც გრძნობა, განსხვავებულად არის წარმოდგენილი ერის ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებში. სხვა პოლიტიკურ იიდეების მსგავსად ნაციონალიზმიც მოსახლეობაში სოციალიზაციის მექანიზმის მეშვობით ვრცელდება, თუმცა, როგორც წესი, იგი ძირითადად ინტელიგენციისათვის არის დამახასიათებელი. ნაციონალიზმის ერთ-ერთი ძირითადი სახე - ეთნიკური

ნაციონალიზმი, მიზნის მიღწევის ანუ ეროვნული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, როგორც წესი, იცვლება ლიბერალურ და სახელმწიფო ნაციონალიზმად, რომლებიც აქცენტს არა ეთნიკურ, არამედ კულტურულ და პოლიტიკურ ერთობაზე აკეთებენ და უპირისპირდებიან სახელმწიფოს შიგნით არსებულ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ ნაციონალიზმს, როგორც სახელმწიფოს ერთიანობის მთავარ მტერს. თუ ტიტულარული ერის ნაციონალიზმი საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოშიც ეთნიკური ხასიათისაა, მაშინ სავარაუდოა, რომ იგი შოვინიზმის, ფაშიზმისა და ნაციზმის ფორმას მიიღებს. ნაციონალიზმის თავისებური ფორმაა პანნაციონალიზმი, რომელიც ზეეროვნული ხასიათისაა და ეთნიკურად, რასობრივად ან რელიგიურად მონათესავე ხალხების შეკავშირებისა და პოლიტიკური ერთიანობისათვის იბრძვის. (http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5432)

ვინაიდან გავიგეთ ისლამისა და ნაციონალიზმის არსი, მოდით გავიგოთ თუ რა კავშირში არიან ისინი ერთმანეთთან, და რა შუაშია ისლამი თათრული ნაციონალიზმის ქეისთან. როგორც ჩემი ერთ-ერთი რესპოდენტი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ექსპერტი, ვახტანგ მაისაია მპასუხობს ჩემს კითხვაზე: რა კავშირშია რელიგია ნაციონალიზმთან, ან არის თუ არა საერთოდ კავშირში, ის ამბობს, რომ რელიგია პირდაპირ კავშირშია ნაციონალიზმთან, ადრე თუ ნაციონალიზმით ხდებოდა თათრეთში ხალხის მანიპულირება დღეს ამას რელიგიის მეშვეობით ცდილობენ. ვინაიდან პოლიტიკურ სარბიელზე თათრეთში თითქმის აღარ დარჩა თათრული პოლიტიკური ელიტა (ზოგი გააჩუმეს დაშინებით, ზოგიც მოისყიდეს), რომელიც უზრუნველყოფს ნაციონალური გრძნობების გაღვივებას, დღეს ეს ფუნქცია რელიგიამ იკისრა, რადგან თათრულ პოლიტიკურ ფიგურებს გასაქანი აღარ აქვთ. ამ საკითხზე უფრო ვრცლად საუბარი მექნება ქვემოთ. (იხ. თავი 3, პარაგრაფი 3.2)

1.2 თეორიული ჩარჩო: კონსტრუქტივიზმი

კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში ფოკუსს ახდენს ადამიანის შემეცნებაზე და მის ადგილზე მსოფლიო პოლიტიკაში. ისინი ამბობენ, რომ საერთაშორისო სისტემა არ არის რაღაც სივრცეში არსებული, როგორც მაგალითად მზის სისტემა. ის არ არსებობს თავისთავად. ის არსებობს მხოლოდ ხალხთა ინტერდისციპლინარული გაგების/შემეცნების საფუძველზე. კონსტრუქტივისტები ამბობენ, რომ საერთაშორისო პოლიტიკა არის ადამიანური ქმნილება, მაგრამ არა ფიზიკური და მატერიალური, არამედ წმინდა ინტელექტუალური და იდეური. საერთაშორისო სისტემა მათი თქმით არის იდეათა კონა, გარკვეული ნააზრევები, ნორმათა სისტემები, რომლებიც მოწესრიგებულ იქნა გარკვეული ხალხის მიერ

გარკვეულ დროში და გარკვეულ ადგილას. აქიდან ლოგიკური დასკვნა არის ის, რომ თუ ფიქრები და იდეები, რომლებიც შეადგენენ საერთაშორისო სისტემას შეიცვლებიან, მაშინ შეიცვლება თვითონ სისტემაც. ეს ხდება იმიტომ, რომ სისტემა არსებობს ნააზრევში და იდეებში. კონსტრუქტივიზმის ძირითადი მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობებისადმი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: *1. ადამიანური ურთიერთობები, საერთაშორისო ურთიერთობების ჩათვლით, შედგება ძირითადად იდეებისა და აზრებისაგან და არა მატერიალური მდგომარეობის ან ძალისაგან; 2. ძირითადი იდეური ელემენტები, რომლებსაც კონსტრუქტივისტები ეყრდნობიან არის ის რწმენები (იდეები, კონცეფციები, მოსაზრებები), რომლებიც ფართოდ არის გაზიარებული ხალხის მიერ; 3. ეს საერთო რწმენები გამოხატავენ ხალხის ინტერესებს და იდენტურობას; 4. კონსტრუქტივისტები შეისწავლიან იმ გზებს, რომლის მეშვეობითაც ყალიბდებიან და გამოიხატებიან ურთიერთობები.* კონსტრუქტივისტები მსოფლიოს წარმოიდგენენ როგორც სოციალურ კონსტრუქციას, რომელიც შექმნილია ადამიანების მიერ, მათი აზრების და იდეების მეშვეობით. ნებისმიერ კონსტრუქციას აქვს მატერიალური მხარე მაგრამ იგი მხოლოდ მეორეხარისხოვანია. ანუ, ფიზიკური ელემენტი არსებობს მაგრამ იგი არაფერს წარმოადგენს ინტელექტუალური ელემენტის გარეშე, რომელიც მას აძლევს მნიშვნელობას, გეგმავს, ორგანიზებას უკეთებს და წარმართავს. აზრს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო უსაფრთხოებაში ვიდრე ფიზიკურ საგნებს, ისინი არაფერს წარმოადგენენ ინტელექტუალური კომპონენტის გარეშე. კონსტრუქტივიზმი ყურადღებას აქცევს არა მარტო იდეების და რწმენების გაზიარების ფაქტს, არამედ იმას, თუ რამდენადაა ისინი გაზიარებული. (აკობია ეკა, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისთვის, თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006, 100გვ.)

ანუ *კონსტრუქტივიზმს აინტერესებს იდეური ძალების როლი საზოგადოებაში,* აქედან გამომდინარე, თუ ჩავუღრმავდებით დავინახავთ, რომ აღნიშნული თეორია ყველაზე კარგად ხსნის თათრეთის ქეისს, ვინაიდან დღეს თათრეთში ისლამი არის ერთ - ერთი წამყვანი, მამოძრავებელი იდეოლოგია, რის გარშემოც შეიძლება მოხდეს ხალხის გაერთიანება და ბრძოლა სხვა დანარჩენი იდეებისთვის, ანუ ისლამი ამ შემთხვევაში გვევლინება, როგორც ინსტრუმენტი (იარაღი), როგორც საკუთარი იდენტობის დასაცავად, ასევე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

2. თათრეთის ზოგადი დახასიათება (ისტორია, მოსახლეობა, ეკონომიკა)

ამ თავში შევეცდები გაგაცნოთ თათრეთი და თათრები, თუ ვინ არიან და საიდან მოდიან ისინი, რათა შეგვექმნას წარმოდგენა თუ ვისზე ვსაუბრობთ.

თათრეთი არის რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი რესპუბლიკა ვოლგისპირეთში, რომლის ფართობი დაახლოებით 68,000 კვ.კმ-ია, რესპუბლიკის დედაქალაქია ყაზანი. თათრეთს ესაზღვრება რუსეთის ფედერაციის 4 რესპუბლიკა მარი-ელი, უდმურტეთი, ჩუვაშეთი და ბაშკირეთი. (http://www.gks.ru/)

(სურათი 1) ვოლგისპირეთის რესპუბლიკები

(http://theperemechlounge.blogspot.com/2014/01/six-republics-of-middle-volga.html)

აღნიშნულ რესპუბლიკებშიც საკმაოდ მრავლად ცხოვრობს ეთნიკურად თათარი **მოსახლეობა,** შესაბამისად დაპირისპირება ცენტრსა და პერიფერიას შორის ამ რესპუბლიკებშიც შეიმჩნევა, თუმცა ისე ძლიერად არა, როგორც თათრეთში. თათრეთის რესპუბლიკის მოსახლეობა 2010 წლის მონაცემებით 4 მილიონი კაცია, აქედან 53% წარმოადგენს ეთნიკურად თათარს. (http://www.gks.ru/) სოფლად მცხოვრები ეთნიკურად თათარი მოსახლეობა ჭარბობს ქალაქში მცხოვრებთ. მათი

რაოდენობა სოფლად 67,3 პროცენტია 2010 წლის მონაცემებით. სხვა ეთნიკურ ჯგუფებს რაც შეეხება თათრეთში ცხოვრობენ: ჩუვაშები, უდმურტები, ბაშკირები, მორდაველები, მარელები და უკრაინელები. (Gaisin I. T. , Gaisin R. I. & Biktimirov N. M., The Factors Affecting Pattern of Rural Settlement of the Republic of Tatarstan, 2015, p. 231, table 2).

რაც შეეხება თათრეთის **ეკონომიკ**ას, თუ გადავხედავთ რუსეთის დანარჩენ რესპუბლიკებს დავინახავთ , რომ თათრეთი არის ერთ-ერთი ეკონომიკურად ყველაზე დაწინაურებული რეგიონი, რაც ძირითადად განპირობებულია მისი ბუნებრივი რესურსების - ნავთობისა და გაზის მარაგებით. თათრეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2014 წელს 12,000 დოლარი იყო. (http://mrd.gks.ru/wps/wcm/connect/rosstat_ts/mrd/ru/)

ნავთობქიმიური მრეწველობის გარდა თათრეთში საკმაოდ პოპულარულია მანქანათმშენებლობა, მაგალითად სატვირთო მწარმოებელი კამაზი რეგიონის უმსხვილესი საწარმოა და თათარეთის სამუშაო ძალის მეხუთედს იყენებს. ასევე, აღსანიშნავია კაზანორგსინტეზი (КАЗАНЬОРГСИНТЕЗ), რომელიც არის რუსეთის უმსხვილესი ქიმიური კომპანია. და რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თათრეთის საავიაციო ინდუსტრია, რომელიც აწარმოებს, როგორც სამგზავრო Tu-214 მოდელის თვითმფრინავებს, ასევე ვერტმფრენებს. ყაზანის ვერტმფრენის ქარხანა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ვერტმფრენის მწარმოებელი კომპანიაა. თათარეთში ასევე მნიშვნელოვანია საინჟინრო, ტექსტილის, ტანსაცმლის, ხის გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის. (http://tatarstan.ru/eng/about/economy.htm)

თათრეთში შედგება სამი განსხვავებული სამრეწველო რეგიონი. ჩრდილოდასავლეთის ნაწილი ძველი ინდუსტრიული რეგიონია, სადაც საინჟინრო, ქიმიური და მსუბუქი ინდუსტრია დომინირებს. ახლადწარმოულ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ნაბერეჟნი ჩელინი-ნიჟნეკამსკის აგლომერაციასთან ერთად, ძირითადი საწარმოები არიან საავტომობილო მშენებლობა, ქიმიური მრეწველობა და ენერგეტიკა. სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში ნავთობპროდუქტების წარმოება საინჟინრო განვითარებასთან ერთად. რეგიონის ჩრდილოეთი, ცენტრალური, სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი სასოფლო რეგიონებია. (http://www.ling.helsinki.fi/uhlcs/LENCA/LENCA-2/information/tatarstan.html)

რესპუბლიკას მაღალგანვითარებული სატრანსპორტო ქსელი გააჩნია. ეს ძირითადად მოიცავს საავტომობილო გზებს, სარკინიგზო ხაზებს, გააჩნია 4 სანაოსნო მდინარე

ვოლგა (İdel), კამა (Çulman), ვიტკა (Noqrat) და ბელაია (Ağidel), ასევე აქვს ნავთობ და გაზსადენები და ავიახაზები. (http://www.ling.helsinki.fi/uhlcs/LENCA/LENCA-2/information/tatarstan.html)

ისტორია: თათრები არიან ერთ-ერთი თურქულ ენოვანი, ნახევრად მომთაბარე ტომის - ბულგარების შთამომავლები, რომელთა ფესვებიც შუა აზიაში შეიძლება ვეძებოთ. მათი ისტორია ვოლგისპირეთში VII საუკუნეში იწყება, როდესაც მათ შექმნეს სახელმწიფო - ვოლგის ბულგარეთი (Nicolle David, 2013, *Armies of the Volga Bulgars & Khanate of Kazan.* p. 14.), რომელმაც XIII საუკუნემდე - მონღოლთა შემოსევებამდე გასტანა.

მათ მალევე განიცადეს ასიმილაცია მონღოლებში (ისინი ერთადაც მიდიოდნენ საბრძოლველად). აქედან გამომდინარე, ზოგიერთი წყაროს მიხედვით ვოლგის თათრები მსოფლიოში ყველაზე დიდი იმპერიის შემქმნელი ხალხის - მონღოლების შთამომავლებათაც მიიჩნევიან. ისინი მონღოლთა იმპერიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის „ოქროს ურდოს“ ტერიტორიაზე შემორჩნენ, რომელიც XV საუკუნეში დაიშალა და ჩამოყალიბდა ყირიმის, ასტრახანის, ყაზანის და სხვა სახანოები. (http://intermedia.ge/სტატია/9620-თათრების-წარსული-და-აწმყო)

(სურათი 2) ოქროს ურდოს დაშლის შემდგომ წარმოშობილი სახანოები

(http://www.islamngy.ru/ru/?p=667)

ეს უკანასკნელი კი 1552 წელს დაპყრობილ იქნა რუსეთის მეფის - ივანე IV მრისხანის მიერ. სწორედ ამის შემდეგ გახდა თათრეთი რუსეთის ერთ-ერთი სუბიექტი.

(სურათი 3) „მე მახსოვს 1552 წელი“

(Mattew Allen Derrick, Placing faith in tatarstan, russia: islam and the negotiation of homeland, p. 166)

თათრეთი რუსეთის ერთ-ერთი რესპუბლიკა პირველად 1921 წელს გახდა.

თათრული ნაციონალიზმის ისტორია კი შეიძლება ითქვას იწყება 1990-იანი წლებიდან, დაახლოებით 440 წლიანი რუსული ბატონობის შემდეგ ეს იყო იდეალური პერიოდი, როდესაც მათ მიეცათ საშუალება გამოეთქვათ თავისი ნაციონალური პრეტენზიები და ებრძოლათ ამისთვის. 1552 წლის შემდეგ მათ არასდროს ჰქონიათ მსგავსი მომენტი, ვინაიდან რუსეთი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, სამეფოდან ის იმპერიად გადაიქცა, რუსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ კი ის „წითელ იმპერიად“ იქცა. შესაბამისად, 1990-იან წლებში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, როდესაც რუსეთი იყო ყველაზე სუსტი და როდესაც სახელმწიფოები რიგ - რიგობით იღებდნენ დამოუკიდებლობას, თათრეთმაც გამოაცხადა სუვერენიტეტი...

3. ეთნიკური ნაციონალიზმიდან ისლამურ ნაციონალიზმზე ტრანსფორმაციის ნიშნები

3. 1 თათრული ნაციონალიზმის ფესვებთან

როგორც ზემოთ აღვნიშნე თათრეთში ნაციონალიზმის აღორძინებას ადგილი აქვს 1990-იანი წლებიდან, ამ პერიოდში უკვე აშკარად, მასობრივად დაიწყო დამოუკიდებლობის მოთხოვნა. 1990 წელს ყაზანის უმაღლესი სასამართლოს მიერ თათრეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამოცხადდა თათრეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. 1991 წლის ივნისში თათრეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა მინტიმერ შაიმიევი.

1991 წლის 25 დეკემბერს დაიშალა საბჭოთა კავშირი, 1992 წელს კი თათრეთში ჩატარდა რეფერენდუმი ახალ კონსტიტუციაზე, სადაც ხმათა 62-მა პროცენტმა მხარი დაუჭირა ახალ კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც თათრეთი ცხადდებოდა სუვერენულ სახელმწიფოდ. თუმცა რუსეთის კონსტიტუციური სასამართლოს მიერ თათრეთის კონსტიტუცია არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული. (http://www.rbc.ru/newspaper/2014/03/17/56bf2fbc9a7947299f72d3f6). 2002 წლის რუსეთის კონსტიტუციის 1 და 3 მუხლების თანახმად, თათრეთი განისაზღვრა რუსეთის ფედერაციის ნაწილად.

თათრეთში პირველი ოფიციალური ნაციონალური მოძრაობა იყო სრულიად თათრეთის საზოგადოებრივი ცენტრი (ВСЕТАТАРСКИЙ ОБЩЕСТВЕННЫЙ ЦЕНТР (ВТОЦ)).
თათარი ნაციონალისტების პირველი ყრილობა გაიმართა 1989 წლის თებერვალში, ახლად ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას თათრეთის საზოგადოებრივი ცენტრი ეწოდა. ორგანიზაციის წესდება და პროგრამა მიღებულ იქნა რიგით მეორე ყრილობაზე 1991 წლის თებერვალში (http://www.archive.gov.tatarstan.ru/_go/anonymous/main/?path=/pages/ru/3ipd/guidebook/ipd_05./ipd_5.02.). ВТОЦ-ის დამაარსებლების უმრავლესობა იყვნენ ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტელექტუალები. 1990-იანი წლების დასაწყისში ის ორგანიზებას უწევდა უამრავ დემონტრაციებს, აწყობდა საჯარო შეხვედრებს თათრეთის რუსეთისგან დამოუკიდებლობის მოთხოვნით, აღსანიშნავია 1991 წლის 15 ოქტომბერი, როდესაც რუსმა ნაციონალისტებმა მოაწყვეს კონტრ-დემონსტრაცია,

რამაც მოახდინა ძალადობრივი შეტაკების პროვოცირება. ორგანიზაციის მთავარი მიზნებია: თათრეთის დამოუკიდებლობის მოპოვება, რუსეთთან დიპლომატიური კავშირის დამყარება, როგორც უცხო სახელმწიფოსთან, თათრული ენისა და კულტურის დაცვა, თათრეთში თათრულის ოფიციალურ ენად აღიარება. ის ასევე ცდილობს ხელი შეუწყოს ისლამის აღორძინებას, ხელი შეუწყოს თათრულ დიასპორას და დაიცვას ეთნიკურ თათართა უფლებები მთელ მსოფლიოში. (http://www.lomonosov-fund.ru/enc/ru/encyclopedia:0139041). ორგანიზაციის წესდებიდან გამომდინარე ВТОЦ ცდილობს თავისი მიზნები განახორციელოს დემოკრატიული მეთოდებით, თუმცა ზოგიერთი წყარო ამტკიცებს, რომ ორგანიზაციის ზოგიერთ ლიდერს 1990-იან წლებში კონტაქტები ჰქონდათ იჩკერიის ვაჰაბიტებთან და თალიბანთან. (http://worldwarfour.org/show_2.shtml?id=188).

უახლოესი წლებიდან აღსანიშნავია 2008 წლის ნოემბერი, როდესაც ВТОЦ და სხვა თათრულმა ნაციონალურმა ორგანიზაციებმა მიმართეს გაეროს 1921-22 წლის შიმშილობა შუა ვოლგისპირეთში აღიარებული ყოფილიყო, როგორც გენოციდი, ორგანიზებული ბოლშევიკური რუსეთის მიერ თათარი ერის და მისი ელიტის განადგურებისთვის და მოესპო თათრეთისთვის ეროვნული დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის შესაძლებლობა. თუმცა აღნიშნული მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, ვინაიდან არსებობს უამრავი დამამტკიცებელი საბუთი, რომ იმ პერიოდში არსებული შიმშილობა იყო უწესრიგობის და ცუდი ამინდის შედეგი. (http://www.moldova.org/en/tatar-nationalists-ask-un-to-condemn-1921-famine-as-genocide-162937-eng/). ვფიქრობ ეს ნაბიჯი ემსახურებოდა არა იმდენად გაეროს მიერ ამ შიმშილობის გენოციდად აღიარებას, არამედ ეს უფრო გავდა მობილიზაციის და რუსეთის, როგორც მტრის ხატის არ დავიწყების/შეხსენების მცდელობას თათრებისთვის. 2017 წლის მაისში კი ნაბერეჟნიე ჩელნის სასამართლოს მიერ ВТОЦ მიჩნეული იქნა ექსტრემისტულ ორგანიზაციად. (http://www.interfax.ru/russia/561974)

ასევე, თათრეთში არსებული სხვა ნაციონალური ორგანიზაციებიდან მინდა აღვნიშნო ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია იტიფაკი (Тататрская партия национальой независимости "Иттифак“), რომელიც დაარსდა თათრეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში 1990 წელს. 1992 წელს კი ის ოფიციალურად დარეგისტრირდა. იტიფაკი იყო პირველი არა კომუნისტური პარტია თათრეთში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს სახელი ამ პარტიას დაერქვა იტიფაკ ალ-მუსლიმინის (Иттифа́к аль-Муслими́н) საპატივსაცემოდ, რომელიც იყო მუსლიმანური პოლიტიკური პარტია პრე-რევოლუციურ რუსეთში და წარმოდგენილი იყო ცარისტული რუსეთის პარლამეტში (დუმაში). იტიფაკის მთავარი მიზანია: 1)

თათარი ერის აღორძინება; 2) თათრული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და 3) თათრული სახელმწიფოს აღიარება, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. (http://www.archive.gov.tatarstan.ru/_go/anonymous/main/?path=/pages/ru/3ipd/guidebook/ipd_05./ipd_5.06). უკვე 20 წელზე მეტია პარტიის უცვლელი ლიდერია ფაუზია ბაირამოვა (Fauzia Bairamova) ე.წ თათრული ნაციონალიზმის ბებია.

თათრების მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნით კიდევ ერთი გაელვება იყო 2008 წლის დეკემბერში, როდესაც რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის აღიარების საპასუხოდ, თათრეთის რესპუბლიკის მილი მეჯლისმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და აღიარების თხოვნით მიმართა გაერთიანებულ თანამეგობრობას. თუმცა ეს დეკლარაცია იგნორირებულ იქნა როგორც რუსეთის ფედერაციის მთავრობის, ასევე გაეროს მიერ.

აღსანიშნავია თათარი ნაციონალისტების მიერ ორგანიზებული ე.წ ხსოვნის დღე. მიუხედავად იმისა, რომ მსვლელობა მხოლოდ სიმბოლური ხასიათისაა, ვფიქრობ ეს აუცილებელია თათრული ნაციონალიზმის შესანარჩუნებლად...

(სურათი 4) „ჩვენი მიზანი - დამოუკიდებლობაა!“. ყაზანი 2009 წ.

რიგით მეოცე ყოველწლიური „ხსოვნის დღე“ მათი წინაპრების საპატივსაცემოდ რომლებიც დაიღუპნენ ქალაქ ყაზანის დასაცავად მათი უკანასკნელი მარცხის დროს ივანე მეოთხის

(მრისხანე) ჯარის წინააღმდეგ ბძოლაში 1552 წელს.

(Mattew Allen Derrick, Placing faith in tatarstan, russia: islam and the negotiation of homeland, p. 167)

3. 1. 1 თათრეთის ბუნებრივი რესურსები და ეკონომიკური ტრანსფორმაციის თეორია

თათრეთის მიერ დამოუკიდებლობის გამალებული მოთხოვნა შეიძლება ითქვას დაკავშირებულია არამარტო ისტორიულ წარსულთან, არამედ იმ ბუნებრივ რესურსებთანაც, რომელიც მას უხვად გააჩნია (ძირითადად ნავთობი და გაზი). ტატნეფტი (Tatneft), თათრული ნავთობისა და გაზის კომპანიაა, რომელიც სიდიდით მეექვსე ადგილზეა რუსეთის ფედერაციის ნავთობ კომპანიებს შორის. ანუ, იმ შემთხვევაში თუ თათრეთს ექნება დამოუკიდებელი სახელმწიფო, მას თავისუფლად შეუძლია მისი რჩენა. შესაბამისად, გაჩნდა პრეტენზია - რატომ უნდა წავიდეს თათრეთის ბუნებრივი რესურსებიდან შემოსული თანხის უმეტესობა ცენტრალურ ბიუჯეტში? მოგების დაახლოებით 70% მიდის ცენტრალურ ბიუჯეტში დანარჩენი კი რჩება ადგილობრივ ბიუჯეტს. 1990-იან წლებში, პრეზიდენტ შაიმიევის დროს ეს სიტუაცია პირიქით იყო. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, რომ თათრული ნაციონალიზმის ქეისს ყველაზე უკეთ ეს თეორია ახსნის. მოდით გავიგოთ თუ კონკრეტულად რაშია ამ თეორიის არსი: ეკონომიკური ტრანსფორმაცია არის ნაციონალიზმის ერთ-ერთი თეორიის - მოდერნიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობათაგანი. მოდერნიზმის ამ მიმართულების წარმომადგენლები ძირითადად ნეომარქსისტები არიან, რომლებიც ერების წარმოშობას ეკონომიკურ ფაქტორებს და კაპიტალიზმის განვითარების გარკვეულ დონეს უკავშირებენ. ნაციონალიზმის გაჩენის მიზეზად ისინი კაპიტალიზმს, რეგიონების თავისებურებებს და რეგიონებს შორის განვითარების დისპროპოციას მიიჩნევენ. ეკონომიკური ტრანსფორმაციის თეორიის თვალსაჩინო მიმდევრები არიან ტომ ნაირნი და მაიკლ ჰეტჩერი.

ტომ ნაირნი (Tom Nairn) თავის წიგნში, „არათანაბარი განვითარება“, წერს, რომ ნაციონალიზმი წარმოიშობა, როგორც პასუხი არათანაბარ ეკონომიკურ განვითარებაზე ბირთვსა და პერიფერიას შორის.

ნაციონალიზმი შეიძება წარმოიშვას ორივე შემთხევაში: **პირველი**, როდესაც ბირთვი უფრო მდიდარია, პერიფერია კი ღარიბი (ანუ არსებობს არათანბაბარი ეკონომიკური განვითარება, შესაბამისად ჩნდება ჩაგრულობის გრძნობა პერიფერიაში), რაც იწვევს პროტესტს, ეს უკანასკნელი კი იწვევს ნაციონალიზმს. და **მეორე შემთხვევა,** როდესაც პერიფერია იმდენად მდიდარია, რომ ჩნდება უკმაყოფილების/პროტესტის გრძნობა - რატომ უნდა გავუნაწილოთ ბირთვს შემოსავალი? რა საჭიროა ბირთვი? - ჩვენ დამოუკიდებლათაც შეგვიძლია ცხოვრება (კატალონიის მაგალითი). შოტლანდიის ქეისი კი შეილება იდეალურად მოვარგოდ ორივე შემთხვევას, ანუ ჩრდილოეთის ზღვაში ნავთობისა და გაზის საბადოების აღმოჩენამდე შოტლანდიას იდეალურად ერგებოდა პირველი შემთხვევა, თუმცა აღნიშნული რესურსების აღმოჩენის შემდეგ

ეს სიტუაცია შეიცვალა მეორე შემთხვევით. რაც შეეხება თათრეთის ქეისს, ის იმიტაა საინტერესო, რომ მას ერთდროულად შეიძლება მოვარგოთ ორივე შემთხვევა ერთად, მიუხედავად იმისა, რომ თათრეთი არის ძალიან მდიდარი თავისი ბუნებრივი რესურსებით, ცენტრი იმდენად ახდენს ამ რესურსების ექსპულატაციას, რომ პერიფერია ამ სიმდიდრის მიუხედავად ცენტრთან შედარებით გაცილებით ღარიბია.

ეკონომიკური ტრანსფორმაციის მეორე თვალსაჩინო მიმდევარი მაიკლ ჰეჩტერი (Michael Hechter) თვლის, რომ მოდერნიზაციის ართანაბარი გავრცელება ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოქნის „დაწინაურებულ“ და „ჩამორჩენილ“ ჯგუფებს. დაწინაურებული ჯგუფი, ანუ ბირთვი ცდილობს თავისი უპირატესობა დააკანონოს და შეინარჩუნოს. მისი ეკონომიკა ხასიათდება მრავალმხრივი ინდუსტრიული სტრუქტურით, მაშინ როცა პერიფერიული ეკონომიკა დამოკიდებული და დაქვემდებარებულია ბირთვის ეკონომიკაზე, გარდა ამისა დაწინაურებული ჯგუფი არეგულირებს სოციალურ როლებს და ყველაზე უფრო პრესტიჟული როლების საკუთარი ჯგუფის წევრებისთვის არის განკუთვნილი. ნაკლებად დაწინაურებული და ჩამორჩენილი ჯგუფის წევრები კი ასეთ როლებს მოკლებულნი არიან. ჰეჩტერი ამ მდგომარეობას „შრომის კულტრურულ დანაწილებას“ უწოდებს. აშკარად, ანუ დე იურედ, ეს იშვიათად გამოიხატება, უფრო ხშირია ფარული დე ფაქტო დისკრიმინაცია, სწორედ ეს კულტრურული დანაწილება უწყობს ხელს ინდივიდებს თვითიდენტიფიკაცია გაუკეთონ საკუთარ თავს თავიანთჯგუფებთან, რაც ჯგუფური სოლიდარობის ზრდას იწვევს. (დავითაშვილი ზურაბ, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, 2003, გვ. 106).

ჰეჩტერი გამოჰყობს ორ პირობას, როგორც აუცილებელს ჯგუფური სოლიდარობის წარმოშობისთვის, პირველი: უნდა იყოს არსებითი ეკონომიკური უთანაბრობა ინდივიდებს შორის, რათა ეს უთანბრობა აღქმული იქნეს, როგორც ნაწილი კოლექტიური ჩაგვრისა. თანაც ეს ჩაგვრა გაცნობიერებული უნდა იყოს, როგორც უსამართლო და უკანონო მდგომარეობა. მეორე: ჩაგრული ჯგუფის წევრებს შორის უნდა იყოს საკმარისი ურთიერთობა და კავშირი. როცა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უთანხმოება ბირთვისა და პერიფერიის ჯგუფებს შორის დიდია, ამ ჯგუფების გაერთიანება ერთ ერად აბსოლიტურად შეუძლებელია. (დავითაშვილი ზ. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. 2003. გვ. 106)

ვფიქრობ, ამ თეორიით ძალიან კარგად აიხსნა თათრული ნაციონალიზმის ქეისი, ვინაიდან, თათრეთში აშკარად იკვეთება ის პრობლემები, რაზეც ყურადღებას

ამახვილებენ ეკონომიკური ტრანსფორმაციის მთავარი წარმომადგენლები: ნაირნი და ჰეტჩერი.

3. 2. რელიგია, როგორც ნაციონალიზმის შემცვლელი იდეოლოგია

ნაციონალიზმი, როგორც წესი, არა რელიგიური, სეკულარული მოვლენაა და გარკვეულწილად რელიგიას უპირისპირდება კიდეც. მაგრამ დღეს, როგორც ნაციონალიზმის, ისე რელიგიის გამოცოცხლებამ მათი საკმაოდ მჭიდროდ დაკავშირება გამოიწვია მსოფლიოს ბევრ რეგიონში. მე არ ჩავუღრმავდები სხვა რელიგიებს, რადგან აქცენტი ისლამზე მაქვს გაკეთებული, შევეხები მხოლოდ ისლამს, როგორც ნაციონალიზმის შემცვლელ იდეოლოგიას და მოვიყვან ქეისებს.

ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ბოსნია. XV საუკუნემდე ბოსნიის მოსახლეობა ენობრივადაც (სერბოხორვატული) და რელიგიურადაც (მართლმადიდებლობა) ერთგვაროვანი იყო. ოსმალების მიერ ბოსნიის დაპყრობისა და ხუთ საუკუნოვანი ბატონობის შედეგად ეთნორელიგიური სიტუაცია შეიცვალა. მოსახლეობის ნაწილმა ისლამი მიიღო, ნაწილი კი კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადავიდა. რელიგიის ცვლილებამ გამოიწვია ეთნიკური თვითშეგნების ცვლილებაც. მართლმადიდებელმა ბოსნიელებმა თვითიდენტეფიკაცია მოახდინეს სერბებთან, კათოლიკებმა - ხორვატებთან, ხოლო მუსლიმანები ახალ ეთნიკურ ერთობად, ბოსნიელებად ჩამოყალიბდნენ. (დავითაშვილი ზურაბ, ჰენდაუთები)

ასევე, ბოსნიის გარდა არის უამრავი სხვა მაგალითი, თუნდაც ავიღოთ არაბული ქვეყნები და მათი მიმართება რელიგიასთან. როგორც ენდრიუ ჰეივუდმა თავის წიგნში „პოლიტიკური იდეოლოგიები“ აღნიშნა: „ისლამი არაა და არც არასდროს ყოფილა მხოლოდ რელიგია. ის ცხოვრების წესია, რომელიც როგორც ადამიანების, ისე სახელმწიფოს ეთიკური, პოლიტიკური და ეკონომიკური ქცევის ნორმებს განსაზღვრავს“. შესაბამისად, ისლამი თანამედროვე მსოფლიოში გვევლინება პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, ნაციონალურ ძალად. გამონაკლისი კი არც თათრეთის რესპუბლიკაა, სადაც ეთნიკური ნაციონალიზმი დღითი - დღე განიცდის ტრანსფორმაციას ისლამურ ნაციონალიზმე, ვინაიდან, როგორც ევრაზიის კვლევების დოქტორი გალინა იემელიანოვა (Dr Galina Yemelianova) თავის ნაშრომში „ისლამი და ნაციის მშენებლობა რუსეთის ფედერაციის თათრეთსა და დაღესტანში“ (Islam and Nation Building in Tatarstan and Dagestan of the Russian Federation (1999)) ამბობს, თათარი იტელექტუალების უმეტესობას სჯერა, რომ ისლამი აყალიბებს მათი (თათრული) იდენტობის ბაზისს, და ისინი მიიჩნევენ, რომ აუცილებელია

რელიგიური ასპექტების გაძლიერება, როგორც პოლიტიკურ სარბიელზე, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მართლაც, არ შემიძლია არ დავეთანხმო ამ მოსაზრებას, ვინაიდან ისტორიაში გვაქვს უამრავი ფაქტი, სადაც სწორედ რელიგიამ განსაზღვრა ხალხთა ნაციონალური თვითშეგნება და ჩამოაყალიბა ერთიანობის განცდა.

როგორც ნაციონალიზმის მკვლევარი პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში - ედუარდ პონარინი (Eduard Ponarin) თავის ნაშრომში „The Potential of Radical Islam in Tatarstan“ (2007) აღნიშნავს: 1980-90-იან წლებში ისლამი იყო თათრული ნაციონალური მოძრაობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც ემსახურობოდა თათრული იდენტობის გაძლიერებას. იმ დროს ყველაზე გავრცელებული მიდგომა იყო, რომ ისლამი აღდგენილიყო, როგორც კონსერვატიული ეროვნული ტრადიცია.

3. 3 ისლამიზმის აღორძინების განმაპირობებელი ფაქტორები

თათრეთში ისლამის აღორძინება იწყება 1990-იანი წლებიდან, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და ე.წ წითელი იმპერიის ათეიზმი საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს. ამ პერიოდიდან ხალხს მიეცა საშუალება საჯაროდ ელოცათ თავიანთ რელიგიებზე. რუსეთში დაიწყო არაბული და თურქული საქველმოქმედო ორგანიზაციების მომრავლება, მაგალითად: არაბული ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია ალ-იგასა (*Аль-Игаса*) ტაიბა (*Тайба*) ალ-ხარამეინი (*Аль-Харамейн*), იბრაგიმ ბინ აბდულაზიზ ალ-იბრაგიმ (*Ибрагим бин Абдулазиз аль–Ибрагим*), და სხვა. თურქული ორგანიზაციებიდან კი აღსანისნავია - ერტუგრულ გაზი (*Эртугрул Гази*), სერხატი (*Серхат*), ეფლიაკი (*Эфляк*) და ტოროსი (*Торос*). მათი მთავარი ამოცანა იყო დაეფინანსებინათ რელიგიური ლიტერატურის გამოცემა (მხოლოდ არაბი, პაკისტანელი ან თურქი ავტორების), მეჩეთების აშენება, თავშესაფრები მუსლიმი ახალგაზრდებისთვის, საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსება (სადაც ასწავლიდნენ ჩამოსული მქადაგებლები), ახალგაზრდებს სასწავლებლად უშვებდნენ უცხოეთში მათი უკან დაბრუნების პერსპექტივით, რათა შეძენილი ცოდნა გაევრცელებინათ (იდეოლოგიური დოქტრინის მსგავსად). (http://www.apn.ru/index.php?newsid=36175)

(სურათი 5)

Attiude toward Religon	1967	1980	1989
Believer	17.9	15.7	43.4
Vacillating	19.7	14.9	19.1
Indifferent	46.6	59.1	12.3
Atheist	15.8	59.1	24.1

(Mattew Allen Derrick, Placing faith in tatarstan, russia: islam and the negotiation of homeland, p. 122)

შესაბამისად, საგრძნობლად გაიზარდა მუსლიმური ტაძრები თათრეთის რესპუბიკაში (100-დან გაიზარდა 1000-მდე).

(სურათი 6) ოქროს ნახევარმთვარე სიუიმბაიკის კოშკის (Siuiumbike Tower) თავზე, რომელიც 1993 წელს დაიდგა და ითვლება რეისლმაიზაციის პირველ მაგალითად.

(Mattew Allen Derrick, Placing faith in tatarstan, russia: islam and the negotiation of homeland, p. 180)

როგორც დიმიტრი გორენბურგი (Dmitry Gorenburg), ევრაზიის კულტურისა და პოლიტიკის სპეციალისტი იხსენებს: „როცა ბოლოს მე ვიყავი ყაზანში 2008 წელს, თვალში მომხვდა საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა ქალი, რომლებიც ატარებდნენ ისლამურ სამოსს... ეს იყო აბსოლიტური კონტრასტი ჩემ მანამდელ ვიზიტს შორის, როდესაც ყველას (განსაკუთრებით ახალგაზრდებს) ვარცხნილობაც და ჩაცმის სტილიც ჰქონდათ ევროპული.“ რიცხვი მსგავსი ისლამური მარკერების ადამიანებისა გაცილებით მაღალია ყაზანში ვიდრე ეს იყო ბაქოში ჩემი ბოლო ვიზიტის დროს.“ მართლაც, ამის ნათელი დასტურია სურათი 7, (იხ. ქვემოთ)

(სურათი 7) ჰიჯაბი გახდა თათრული სოციალური ლანდშაფტის ჩვეულებრივი ნაწილი.

(Mattew Allen Derrick, Placing faith in tatarstan, russia: islam and the negotiation of homeland, p. 126)

1998 წელს ყაზანში დაარსდა რუსეთის ისლამური უნივერსიტეტი. ასევე, მყარად იკიდებს ფეხს საუდის არაბეთის განათლება და აქტიურად ვრცელდება ვაჰაბიტური მოძღვრება (Ponarin E. Changing Federalism and the Islamic Challenge in Tatarstan. 2008. pp. 266 – 267).

სხვა ისლამური მოძღვრებებიდან აღსანიშნავია თურქული ნურჯიზმი. ყურადსაღებია თურქული ლიცეუმების მომრავლება. საიდ ნურსის წიგნები, რომელიც თავისუფლად მოიპოვებოდა თათრეთის ისლამურ ტაძრებში, მოსკოვის ერთ-ერთი სასამართლოს მიერ ცნეს, როგორც ექსტრემიზმის მატარებელ წიგნებად. შესაბამისად, უშიშროების სამსახურის მიერ საიდ ნურსის წიგნები აკრძალული იქნა მკითხველისთვის. (Khurmatullin Azat, Islam and political evolutions in Tatarstan, The revival of Islam in Tatarstan: first steps, p. 8).

თურქეთის გავლენაზე საუბრობს ჩემი ერთ-ერთი რესპოდენტი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ექსპერტი, ვახტანგ მაისაია, ის არ გამორიცხავს თურქეთში მიმდინარე მოვლენების ზეგავლენას თათრეთზე, ანუ ის გულისხმობს პანთურქიზმს და ამბობს, რომ თუ რუსეთს გააჩნია ევრაზიანიზმის იდეა, თურქეთს აქვს პანთურქიზმის იდეოლოგია. შესაბამისად, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებისთვის ეს არის კიდევ ერთი თავის ტკივილი.

არსებობს ისლამის აღორძინების განმაპირობებელი უამრავი სხვა ფაქტორი, მაგალითად, 2008 წლის მონაცემებით თათრეთში სულ დარეგისტრირებული იყო 1398 რელიგიური ორგანიზაცია, აქედან 1055 ისლამურია. (Krindatch Alexey. Patterns of Religious Change in Postsoviet Russia: Major Trends from 1998 to 2003. Religion, State & Society, Vol. 32, No. 2, June 2004. p. 123). ისლამის აღორძინების კიდევ ერთი აღსანიშნავი ფაქტია 2006 წელი, როდესაც რუსეთიდან 18,000 მომლოცველი ჩავიდა მექაში ჰაჯის მსვლელობაზე დასასწრებად, ხოლო 2010 წელს ეს რიცხვი 20,000- მდე გაიზარდა. მეტიც, რუსეთის მუსლიმანური რელიგიის ლიდერებმა გაუგზავნეს წერილი საუდის არაბეთის მეფეს, სადაც ისინი ითხოვდნენ სავიზო კვოტების გაზრდას მინიმუმ 25,000-დან 28,000-მდე. (http://www.muslimpopulation.com/Europe/RUSSIA/Islam%20in%20RUSSIA.php)

ისლამური ფუნდამენტალიზმის ისტორია კი თათრეთში იწყება 1999 წლის 1 დეკემბრიდან, როდესაც კუკმორსკის ჯამაათის (Кукморский джамаат) მიერ აფეთქებული იქნა კუკმორსკის რაიონში მდებარე გაზსადენი. შემდეგ ყალიბდება სხვა რადიკალური ისლამური ორგანიზაციებიც: ჯამაათ ბულგარი (Джамаат Булгар), რომელიც ითვლება ისლამური ტერორისტული მოძრაობა - "თალიბანის"ერთ-ერთ საბრძოლო ქვედანაყოფად. რიბნოსლობოდის ჯამაათი (Рыбнослободский джамаат), მოღვაწეობდა 2003-2004 წლებში. ბავლინის ჯამაათი (Бавлинский джамаат), რომელმაც 2005 წელს მოაწყო ტერაქტი ქალაქ ბუგულმეში - გაზსადენზე. ნურლათიის ჯამაათი (Нурлатский джамаат), მოღვაწეობდა 2007 – 2009 წლებში. 2012 წელს კი ჩამოყალიბდა - თათრეთის მოჯაჰიდები (Моджахеды Татарстана) ე.წ

ჩრდილოეთის ისლამური არმია, რომელიც დღეს იბრძვის სირიაში ISIS-ის რიგებში. (http://ruskline.ru/news_rl/2015/11/23/ya_by_otnosilsya_k_podobnym_ugrozam_ochen_serezno/). მინდა გამოვყო ეს უკანასკნელი, ვინაიდან სხვა ისლამური ორგანიზაციებისგან განსხვავებით, ის უფრო აქტიურად უჭერს მხარს თათრეთის დამოუკიდებლობას. აღსანიშნავია ორგანიზაციის ერთ-ერთი ექსტრემისტი მებრძოლის - საიფუდინ ალ-თათარის (Сайфуддин аль-Татари) ვიდეო მიმართვა, რომელიც 2015 წლის 20 ნოემბერს განთავსდა YouTube-ზე (სამწუხაროდ, მალევე წაშლილი იქნა ინტერნეტ სივრციდან, თუმცა არსებობს წერილობითი სტატია, რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს მებრძოლის მონოლოგს), ის მიმართავს თათარ ხალხს და ცდილობს ითამაშოს ნაციონალურ გრძნობებზე. მონოლოგი იწყება არაბულ ენაზე ყურანის ერთ-ერთი თავიდან ციტირებით... მსგავს ციტირებებს მებრძოლები მიმართვენ, რათა შესძინონ ძალა მათ მიერ შემდგომ თქმულ სიტყვებს. შემდეგ ალ თათარი იწყებს საუბარს რუსულად, თათრული აქცენტით. ის სპეკულირებს წარსულით, შთააგონებს თათრებს, რომ წინაპრები იბრძოდნენ ამ ტერიტორიებისთვის და ხდებოდნენ შაჰიდები (მოწამეები), ხოლო შვილიშვილებმა წარსულს ჩააბარეს ყველა ტანჯვა და მათ მიერ დაღვრილი სისხლი.

რუსეთს ბოევიკი მოიხსენიებს ბოროტების იმპერიად, რომელიც იმას აკეთებს, რაც ვნებს მუსლიმანებს. ის მუქარით ამბობს: „ნუ იზეიმებთ რაისის (რაის მინგალაევი - კავკასიის საამიროს ვოლგისპირეთის ფილიალის პირველი ამირი (შემდგომში თათრეთის მოჯაჰიდების, იგივე ჩისტოპოლის ჯამაათის ლიდერი), აბუ მუსას (იგივე რობერტ ვალეევი) და სხვა ძმების მოკვლით, რომ თითქოს ამით ბოლო მოუღეთ ჯიჰადს თათრეთში, პირიქით, ამ სისხლით თქვენ მხოლოდ მორწყეთ ჯიჰადის ხე, ხე, რომელიც მალე მოგვცემს მოსავალს, რომელსაც საკუთარი თვალით დაინახავთ.“ რელიგიიდან ექსტრემისტი კვლავ უბრუნდება ნაციონალურ საკითხს და ამბობს, რომ მათი მიზანია ვოლგისპირეთში ჩამოაყალიბონ ისლამური სახელმწიფო, რათა თათარმა ერმა თავი დააღწიოს ივანე მრისხანეს შვილების მონობას. (http://www.rod-pravo.org/islamskaya-severnaya-armiya-ig-obratilas-k-tataram/). როგორც პოლიტოლოგი და ისლამიზმის მკვლევარი, რაის სულეიმანოვი (Раис Сулейманов) აღნიშნავს, ეს არის ძალიან სერიოზული განცხადება. მართლაც, თუ თათრეთში დაიწყება (თითქმის დაწყებულია როგორც ვხედავთ) ნაციონალური გრძნობების რადიკალურ ისლამთან ხორცშესხმა (ანუ ისლამის პოლიტიზაცია), რუსეთისთვის ეს იქნება ძალიან ძლიერი დარტყმა, ვინაიდან, დავესესხება ისევ რაის სულეიმანოვს “პრობლემა ისაა, რომ ტერორისტული საქმიანობისთვის არ არის საჭირო მებრძოლთა დიდი რაოდენობა. თეორიულად, ერთ ადამიანსაც შეუძლია მოაწყოს ძალიან დამანგრეველი ტერაქტი.” თუ გავითვალისწინებთ ისლამური ფანატიზმის

მასშტაბებს და რწმენას, რომ ჯიჰადში დაღუპული მუსლიმი პირდაპირ სამოთხეში ხვდება, ადვილი გასაგები ხდება ის საფრთხე, რასაც ისლამური ფუნდამენტალიზმი შეიცავს. მით უფრო, რომ მისი სამოქმედო გზა ტერორიზმია. (დავითაშვილი ზურაბ ჰენდაუთები). წარმოიდგინეთ იმ შემთხევაში თუ ისლამური სახელმწიფოს რიგებში მებრძოლი თათრები მოახერხებენ უკან დაბრუნებას, რა სიტუაცია შეიძლება შეიქმნას რუსეთში? ვინაიდან დაბრუნებული ბოევიკები იქნებიან უფრო რადიკალურები, გამოცდილები და მიზანმიმართულები, (თუნდაც ვერ მოახერხონ დაბრუნება, მათი ნათესავების, ახლობლებისა თუ მეგობრებისთვის მათ მიერ გაწეული პროპაგანდა, ვფიქრობ დიდ გავლენას იქონიებს ისლამის რადიკალიზაციაზე თათრეთში).

აქვე მინდა აღვნიშნო, პოლიტიკის მეცნიერებნათა დოქტორის, ექსპერტის, ვახტანგ მაისაიას პოზიცია, რესპოდენტი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ საკმაოდ ბევრი ბოევიკი იბრძვის დაეშის რიგებში რუსეთის ფედერაციიდან, და რომ თათრეთი მოხსენიებულია დაეშის ერთ-ერთ ვილაიეთად. ჩემს კითხვაზე: სურს კი თათარ ხალხს ისლამურ სახელმწიფოში (დაეში) გაერთიანება, ვინაიდან, ისინი იმისთვის იბრძვიან 1990-იანი წლებიდან მოყოლებული რათა დამოუკიდებლად იცხოვრონ და არა ერთიან ისლამურ სახელმწიფოში, ის მპასუხობს, რომ თათრეთს სხვა გამოსავალი არ აქვს. თათარ ნაციონალისტებს პერსპექტივა აღარ აქვთ, მათი მზე უკვე ჩაესვენა, ამიტომ აუცილებელია ისლამიზმის განვითარება და ამ იდეოლოგიის ირგვლივ გაერთიანება. ის ასევე საუბრობს ე. წ ხაზარულ სამკუთხედზე (ვოლგისპირეთი-ურალი-ციმბირი), რომელიც მიიჩნევა რუსეთის ფედერაციაში რელიგიური ნაციონალიზმის აღმოცენების ცენტრებად. ისლამიზმის გამოვლინებები რუსეთმა შეიძლება სწორედ ამ რეგიონებიდან მიიღოს.

ისლამის პოლიტიზაციის მცდელობა გვაქვს ჯერ კიდევ 90-იან წლებში (რომელმაც მაშინ ვერ გაამართლა), მაგალითისთვის მინდა მოვიყვანო აირატ გალიულინის (Айрат Галиуллин) ციტატა: “მახსოვს ყაზანი 90-იან წლებში, როდესაც ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე მამაკაცები გამოვიდნენ თავისუფლების მოედანზე მწვანე ბენდენებით (ისლამის ფერი), რომელზეც ეწერათ «Азатлык» - თავისუფლება. მე ვუყურებდი მათ სახეებს და ვხვდებოდი, რომ ამ სოფლელ, გაუნათლებელ ბიჭებს ვიღაცამ აუბნია თავ-გზა და ისინი აქ მოათრია, მთავრობის შენობასთან. და თუ ცოტა კიდევ უფრო აურევენ თავ-გზას, ისინი გახდებიან ბოევიკები და წავლენ მოსაკლავად მათი იდეალების გულისთვის.” (http://pikabu.ru/story/chem_otlichaetsya_tatarskiy_natsionalizm_ot_russkogo_630416), ანუ ამ ციტატიდან გამომდინარე ვხედავთ, რომ ისლამურმა იდეოლოგიამ მოახდინა

მასების მობილიზაცია ნაციონალური გრძნობებით. და მართლაც, ისინი უკვე იბრძვიან მათი იდეალების გულისთვის სირიაში.

საინტერესოა 2016 წლის ოქტომბერი - ახლო აღმოსავლეთში მებრძოლი თათრები განაგრძობენ ნაციონალურ აგიტაციას, ამჯერად უკვე მშობლიურ თათრულ ენაზე (მანამდე აგიტაცია რუსულ ენაზე მიმდინარეობდა). (http://www.ng.ru/faith/2016-12-14/3_6884_kartblanshe.html).

როგორც ვლადიმერ პუტინმა ჩრდილოეთ ფლოტის ოფიცრებთან (რომლებიც ასრულებენ საბრძოლო მისიას ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან სიარიაში) შეხვედრისას აღნიშნა 2017 წლის თებერვალში ისლამური სახელმწიფოს რიგებში მყოფი რუსი ბოევიკების რიცხვი დაახლოებით 4 ათასი იყო. შეგახსენებთ, რომ 2015 წლის სექტემბერში ФСБ დირექტორის მოადგილის სერგეი სმირნოვის განცხადებით ბოევიკების რიცხვი 2.4 ათასი იყო. აშკარაა, რომ 1,5 წლის განმავლობაში რუსი ისლამისტი ბოევიკების რაოდენობა მხოლოდ გაიზარდა. (https://eadaily.com/ru/news/2017/02/27/ekspert-ideologiya-islamizma-prodolzhaet-privlekat-musulman-iz-rossii).

ამ პარაგრაფის ბოლოს ისევ მინდა მოვიყვანო ვახტანგ მაისაიას პოზიცია ჩემს კითხვაზე, თუ რამდენად რეალურია თათრეთის რესპუბლიკაში რადიკალური ისლამის აღორძინება და რამდენად სერიოზული საფრთხის შემცველია ის ცენტრალური ხელისფულებისთვის რესპოდენტი თავიდანვე ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ თათრეთის რესპუბლიკაში ჯერ არც თუ ისე სერიოზული საფრთხის შემცველია რადიკალური ისლამი, მას ძალიან კარგად აქვს ფესვები გადგმული (აქვს ამისკენ სერიოზული მიდრეკილება), და საკითხავი ის კი არაა მომავალში იქნება თუ არა ის საფრთხის შემცველი ცენტრალური მთავრობისთვის, საკითხავი ისაა თუ როდის იფეთქებს ის, ვინაიდან არსებობს ამის რეალური საფუძველი და მეტიც ჩვენ გვაქვს არაერთი მაგალითი ტერორისტული აქტებისა რომელიც ჩადენილი იქნა თათარი ჯიჰადისტების მიერ. ასევე, სიტუაციას ერთი - ორად ართულებს ის ფაქტი, რომ თათრეთის რესპუბლიკა არის ანკლავი (ჩაკეტილი სივრცე), მას არ აქვს გეოგრაფიული კავშირი სხვა ქვეყნებთან, შესაბამისად ნებისმიერი ინოვაციის შეღწევა (რაც წაადგება თათარ ბოევიკებს) არის ურთულესი. თუმცა, მიუხედავად იმისა რომ დღეს სიმშვიდეა, ეს იმას არ ნიშნავს რომ მსგავსი სიტუაცია გვექნება სულ, ვინაიდან ჩეჩნეთთან ერთად თათრეთი არის რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი ყველაზე ცხელი რესპუბლიკა. ცენტრმა პოლიტიკურად დაასტაბილურა ეს რეგიონები თუმცა დღეს რელიგიური რადიკალიზმის როლი და

გავლენა დღითი - დღე იზრდება მთელ მსოფლიოში და გამონაკლისი არც ეს რესპუბლიკებია.

4. ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან

4. 1. ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკა თათრეთის რესპუბლიკასთან მიმართებაში

რუსული პოლიტიკის გატარება თათრეთში დაიწყო 1552 წლიდან. როდესაც ივანე მრისხანემ დაიპყრო ყაზანის სახანო, მან აქტიურად დაიწყო ქრისტიანული რელიგიის ძალდატანებით გავრცელების პროცესი, რათა მოეხდინა თათართა რუსიფიკაცია. ამ პერიოდში ბევრი თათარი გაიქცა ურალისკენ და უფრო შორს - ციმბირში, რათა გადაერჩინათ თავიანთი რელიგია. 1593 წლისთვის ყაზანში ყველა მეჩეთი დანგრეული იყო და აიკრძალა მათი მშენებლობა. როგორც ვხედავთ, რუსეთმა ტერიტორიის გარდა თათრებს რელიგიაც წაართვა.

XVIII საუკუნეში კი ეკატერინე დიდის მმართველობის პერიოდში ეს აკრძალვა მოიხსნა, ვინაიდან მან შეიტანა შესწორებები თავისი იმპერიის ეთნიკურ პოლიტიკაში. (http://www.sras.org/tatarstan)

1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, ახალმა რეჟიმმა დახურა ყველა რელიგიური ინსტიტუტი და ბევრი მეჩეთი გადაიქცა სპორტულ დარბაზად და თავლებად. კომუნისტური მმართველობის პერიოდში (მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ ეხებოდნენ რესპუბლიკების კულტურებს, და პირიქით, წახალისებასაც ახდენდნენ) შეინიშნებოდა თათრული ენის დეგრადაცია, რაც გამოიხატა, არაბული ანბანის ლათინურით შეცვლით, ხოლო შემდგომ კირილიცით (ძველი სლავური ანბანი), ეს იყო ერთიანი საბჭოთა იდენტობის ჩამოყალიებების მცდელობა. შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით 70 წლის მანძილზე თათრული კულტურა ფაქტიურად გაყინული იყო. (http://www.worldpolicy.org/journal/summer2013/tatarstan-battle-islam-russias-heartland)

1990-იანებში საბჭოთა კავშირის დაშლამ ხელი შეუწყო ისლამის აღორძინებასა და თათრული ნაციონალიზმის ჩამოყალიბებას. თათრული ენა დაუბრუნდა ლათინურ ანბანს, გაჩდნენ დამოუკიდებლობისთვის მებძოლი მოძრაობები, რასაც მოჰყვა 1992 წელს რეფერნდუმის გამოცხადება, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 62-მა პროცენტმა მხარი დაუჭირა თათრეთის სრულ დამოუკიდებლობას. მიუხედავად იმისა, რომ თათრეთმა ვერ მიიღო აბსოლიტური სუვერენიტეტი, მას მიეცა გარკვეული პრივილეგიები: უფლება მიეცა აერჩიათ თავიანთი ლიდერი, თათრული ენის თავისუფლება, კონტროლი მის ეკონომიკაზე და ბუნებრივ რესურსებზე.

ვლადიმერ პუტინის გაპრეზიდენტების შემდეგ მან საგრძნობლად შეცვალა ელცინის პოლიტიკა. მმართველი ძალაუფლება კონსოლიდირებული იქნა მოსკოვში, კრემლის ცენტრალიზებულმა პოლიტიკამ თათრებს შეუზღუდა სრული დამოუკიდებლობის იმედები. პუტინის რეჟიმმა გამოიყენა ყველა სასამართლო მმართველობები რათა წაერთვა ავტონომია რესპუბლიკებისთვის.

კირილიცა გახდა ერთადერთი ოფიციალური ანბანი რუსეთის ფედერაციის პროვინციებში. პრეზიდენტი თათრეთში (ასევე ყველა რეგიონის მმართველი) უნდა დაინიშნოს ან მოიხსნას მოსკოვის დასტურის შემდეგ. (http://www.worldpolicy.org/journal/summer2013/tatarstan-battle-islam-russias-heartland)

ცენტრალური ხელისუფლების გავლენაზე საუბრობს ჩემი ერთ-ერთი რესპოდენტი, თათრეთში ნაცხოვრები ეროვნებით ქართველი (50-55 წლის მამაკაცი), რომელიც ძალიან კარგად იცნობს თათრულ რეალობას. ის გარკვეული მიზეზების გამო არ მპასუხობს კონკრეტულ კითხვებზე თუმცა მიზიარებს საინტერესო ფაქტებს, და მაძლევს გარკვეულ ინფორმაციას თათრეთის რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებზე. ის საუბრობს რუსული პოლიტიკის გამკაცრებაზე და თათართა შევიწროებაზე.
1) დღეს თათრეთის რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსებიდან (ძირითადად ნავთობიდან და გაზიდან) შემოსული მოგების დაახლოებით 70% მიდის ცენტრალურ ბიუჯეტში 30% კი რჩება ადგილობრივ ბიუჯეტს. 1990-იან წლებში, პრეზიდენტ შაიმიევის დროს ეს სიტუაცია პირიქით იყო.

2) თათრეთის რესპუბლიკაში განათლების მიღება თათრულ ენაზე მხოლოდ რაიონებში მიმდინარეობს, ქალაქებში - რუსულ ენაზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით გამოწვეული უკმაყოფილების ერთ-ერთი პროტესტანტი

(სურათი 8) „ცხოვრობ თათრეთში - ისწავლე თათრული“

(http://www.3rm.info/23415-nacional-separatisty-iz-kazani-nashli-sponsorov-v-azerbaydzhane.html)

3) ადგილობრივ მედიას ძირითადად კულტურული დატვირთვა აქვს.

4) ყველაფერი კონტროლდება უშიშროების მიერ.

5) მოსყიდული თათარი ნაციონალისტები.

6) 1990-აინი წლებისგან განსხვავებით, ადგილობრივი თვითმართველობა უკიდურესად არის შეზღუდული, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი რომ ადგილობრივი ძალოვანი სტრუქტურები ძირითადად დაკომპლექტებულია ეთნიკურად რუსების მიერ, მნიშვნელოვანი ფიგურების დანიშვნები ხდება ცენტრიდან.

7) რეპრესიების შიში.

ანუ რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ამ ფაქტებიდან: 1) ეთნიკური ნაციონალიზმი ვერ ამართლებს, აუცილებელია მეტი რადიკალიზმი. 2) თვითმართველობის შეზღუდვა, ადგილობრივ ძალებს უბიძგებს მეტი რადიკალიზმისკენ. 3) როდემდე გასტანს თათრეთის რესპუბლიკაში გაბატონებული შიში, რეპრესიები, რომელსაც განიცდიან თათარი ნაციონალისტები. დღეს, თათრეთში დგას ეთნიკური ნაციონალიზმის ტრანსფორმაციის აუცილებლობა, რადგან ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე საფრთხე ემუქრება თათრულ იდენტობას. უშიშროების მიერ ყველაფრის კონტროლი იწვევს შიშს, შიში კი ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას, იმ სიტყვისა, რომელიც უნდა დაიწეროს და ითქვას თათრული იდენტობის შესანარჩუნებლად, სწორედ ამიტომ, ვამტკიცებ, რომ თათრეთის

რესპუბლიკაში ეთნიკურმა ნაციონალიზმმა ვერ გაამართლა და ის ტრანსფორმაციას განიცდის რელიგიურ, კერძოდ ისლამურ ნაციონალიზმზე, რადგან რწმენა შიშზე ძლიერია. მოვიშველიებ ენდრიუ ჰეივუდის სიტყვებს და ვიტყვი, რომ ისლამი არაა და არც არასდროს ყოფილა მხოლოდ რელიგია. ის ცხოვრების წესია, რომელიც როგორც ადამიანების, ისე სახელმწიფოს ეთიკური, პოლიტიკური და ეკონომიკური ქცევის ნორმებს განსაზღვრავს.

4. 2 რუსული პოლიტიკის პარადოქსი

Борис Ельцин - "Берите столько суверенитета, сколько сможете проглотить" - правда?

რუსული პოლიტიკა გამომდიანრეობს რეალპოლიტიკით, ის დღესაც განაგრძობს საბჭოთა კავშირისა და რუსეთის იმპერიის დროინდელი პოლიტიკის გატარებას. მიუხედავად საერთაშორისო სისტემის რეგულაციებისა, ის მოქმედებს ძალის პრიმატით. თუ გადავხედავთ რუსულ პოლიტიკას თათრეთთან მიმართებაში დავინახავთ, რომ ის ეწინააღმდეგება თავისივე მიღებულ გადაწყვეტილებებს. მაგალითად, რუსული პოლიტიკის **პარადოქსი N 1** არის 2008 წელს აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. ეს ნაბიჯი უღვივებს უსამართლობის გრძნობას არა მარტო თათრებს, არამედ რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ უმცირესობებსაც და სამართლიანად უჩნდებათ მათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოთხოვნის პრეტენზია. ამ მოქმედებით რუსეთმა დაუშვა პრეცენდენტი, რომ სეპარატისტულ რესპუბლიკებს აქვთ შანსი დამოუკიდებლობის მოპოვების. (ანუ ეს ნაბიჯი არის ერთის მხრივ უსამართლობის და მეორეს მხრივ იმედის ჩასახვის კატალიზატორი რუსეთის ფედერაციაში არსებული ნაციონალურ/სეპარატისტულად განწყობილი ძალებისთვის). როდესაც რუსეთის ფედერაციაში დამთავრდება პუტინის რეჟიმი (ვინაიდან რეალურად პუტინის მკაცრი პოლიტიკა აკავებს დღეს ფედერაციის რადიკალურ ნაციონალურ და ისლამურ ძალებს აფეთქებისგან), კიდევ რამოდენიმე წელი შეიძლება გასტანოს ამ სისტემამ, შემდეგ კი აუცილებლად დაიწყება უკმაყოფილო პერიფერიის მასობრივი გამოსვლები და რადიკალური მოქმედებები.

(სურათი 9) „ხელები შორს თათრეთის სუვერენიტეტისგან“ - რუსეთის მიერ ყირიმის რეფერენდუმის აღიარებასთან დაკავშირებული საპროტესტო მიტინგი ყაზანში, 2015 წლის 21 მარტი.

(http://zvezdapovolzhya.ru/obshestvo/rezolyutsiya-mitinga-g-kazan-21032015-21-06-2015.html)

რუსეთის პოლიტიკის **პარადოქსი N 2** არის ყირიმის რეფერენდუმის აღიარება. არსი იმაშია, რომ 1992 წელს თათრეთში ჩატარებული რეფრენდუმი დამოუკიდებლობის შესახებ მოსახლეობის 62% - ის თანხმობის მიუხედავად რუსეთმა უკანონოდ სცნო, ხოლო ყირიმის რეფერენდუმი, როგორც ვიცით აღიარა იმაზე ღაღადით თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თვით - გამორკვევის პრინციპი.

Remembering referendums: Tatarstan and Crimea. *Russia supports self-determination only when it is in its interest.* ამ სათაურით იწყება ილდარ გაბიდულინისა (Ildar Gabidullin) და მაქსიმ ედვარდსის (Maxim Edwards) სტატია ალ ჯაზირას ონლაინ ჟურნალში, სადაც შედარებულია თათრეთის 1992 და ყირიმის 2014 წლის რეფერენდუმები. როგორც ავტორები აღნიშნავენ, ყირიმის რეფერენდუმის აღიარება რუსეთის მიერ არის ირონიული და ამავ დროულად სამწუხარო ჭეშმარიტება.

აღსანიშნავია, რომ ორივე რეფერენდუმის დროს იყო სამხედროების მობილიზაცია. 1992 წელს იმისთვის რათა დაესაჯათ ორგანიზატორები სიტუაციის გამწვავების შემთხევაში, 2014 წელს კი პირიქით, რეფერენდუმის მხარდასაჭერად. ასევე, ორივე რეფერნდუმის დროს იყო რუსული პროპაგანდა, მაგალითად ბილბორდებზე მთელს ყირიმში ნაჩვენები იყო რეფერენდუმი, როგორც არჩევანი სვასტიკასა და რუსეთის დროშას შორის.

(სურათი 10)

(http://www.mcclatchydc.com/news/nation-world/world/article24765139.html)

თათრეთში კი, როგორც თათრეთის პარლამენტის დეპუტატი ფანდას საფიულინი (Fandas Safiullin) იხსენებს: „1992 წელს თათრეთი დანაგვიანებული იყო ფლაერებით, ერთ-ერთ მათგანზე გამოსახული იყო მომტირალი ქალი, რომელიც მოუწოდებდა: "თქვენი დედები, ცოლები, დები, საცოლეები გთხოვენ რომ შეაჩეროთ ეს უბედურება, მხოლოდ ერთი რამ გვიშველის - შემოხაზეთ „არა" თქვენს ბიულეტენებზე!" ამ ფლაერების წონამ, რომელიც ჩამორთმეული იქნა საგზაო პოლიციის მიერ თათრეთის გზებზე, 34 ტონას მიაღწია". (http://www.aljazeera.com/indepth/opinion/2014/04/remembering-referendums-tatarst-201441791739224343.html)

მოკლედ, რომ ვთქვა, ამ თავში მინდოდა გადმომეცა რუსეთის პოლიტიკის ურთიერთსაპირისპირო, პარადოქსული ქმედებები, რომელიც სახელმწიფოსთვის მიუღებელია, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მომავალში ეს დამღუპველი იქნება მისთვის, რუსეთის პოლიტიკა გამიზნულია მხოლოდ დღევანდელი დღისთვის და ის ნაკლებად ზრუნავს იმაზე თუ რა მოხდება ხვალ. ვფიქრობ, მსგავსი უსამართლო ნაბიჯები, უფრო მისცემს თათრებს (და არამარტო) რადიკალიზმის საბაბს, რაც მომავალში ბუმერანგივით შემოუბრუნდება რუსეთის ფედერაციას.

4. 3 ჩეჩნეთის ქეისის პარარელი თათრეთთან

როცა ვსაუბრობ თათრეთზე არ შემიძლია არ ვახსენო ჩეჩნეთი და არ გავავლო პარარელი აღნიშნულ ქეისთან. ვფიქრობ, რომ ეს ორი რესპუბლიკა ძალიან გავს ერთმანეთს, შეიძლება ითქვას რომ ორივე წარმოადგენს ცხელ წერტილს რუსეთის ფედერაციისთვის, ორივე შემთხევაში გვაქვს რადიკალური ისლამიზმის გამოვლინებები და ორივეს აქვს ნავთობის საკმაოდ დიდი მარაგი, აღსანიშნავია, რომ ჩეჩნეთში მოიპოვება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სუფთა ნავთობი. ამასთან ერთად ორივე რესპუბლიკას აქვს სტრატეგიული დატვირთვა, ჩეჩნეთი წარმოადგენს სატრანსპორტო ცენტრს და კორიდორს: რკინიგზა და ავტომაგისტრალი, რომელიც აკავშირებს რუსეთს აზერბაიჯანთან და ბაქო-ნოვოროსისკის ნავთობსადენი, გაზსადენი და სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმწოდებელი ხაზები აზერბაიჯანთან, საქართველოსთან და სომხეთთან. რაც შეეხება თათრეთის სტრატეგიულ მნიშვნელობას, ეს არის: თავდაცვითი ინდუსტრია, ნავთობ და გაზსადენები, თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების წარმოება. (Sharafutdinova Gulnaz, Chechnya Versus Tatarstan: Understanding Ethnopolitics in Post-Communist Russia, 2000, p. 15, table 1). თუმცა, ამ მსგავსებებთან ერთად არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავება: 1990-იან წლებში ჩეჩნეთის მიერ აბსოლიტური დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვამ მიწასთან გაასწორა გროზნო, ხოლო თათრეთი წავიდა დათმობებზე და ეკონომიკური განვითარებისკენ აიღო გეზი. ისტორიის მეცნიერების კანდიდატი და რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის დოცენტი – სერგეი მარკედონოვი თვლის, რომ 1994 წლის აპრილში ჯერ კიდევ იყო შესაძლებელი (თანაც რეალურად), რომ არათუ პირველი ომის სცენარი, არამედ მთელი 90-იანი წლების ჩეჩნეთ - რუსეთის დრამატული ურთიერთობები თავიდან აცილებულიყო (ან მისი შედეგები შედარებით მსუბუქი ყოფილიყო), თუმცა ეს შანსი ხელიდან იქნა გაშვებული. იგი გულისხმობს დუდაევისა და ელცინის მოლაპარაკებებს ე.წ. *„თათრეთის მოდელს“* (თათრეთის მოდელი, რომელიც გაფორმდა მოსკოვსა და ყაზანს შორის 1994 წლის 15 თებერვალს, ავტონომიურ რესპუბლიკას ფედერალურ ცენტრთან ერთად აძლევდა შანს გადაეწყვიტა მთელი რიგი საკითხები (ეკონომიკური, ეკოლოგიური და. ა.შ.). გარდა ამისა, მიიღეს თამაშის წესები ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებით, შეთანხმდნენ თათრეთში რეგისტრირებული მოქალაქეებისთვის თათრულ ენაზე ჩაეწერათ რესპუბლიკის სახელი, გამოჩნდებოდა ადგილობრივი გერბი, დროშა და სხვა.), რომლის იმპლემენტაცია ჩეჩნეთში, სავარაუდოდ, შესაძლებელი იყო. ს. მარკედონოვის აზრით, პიროვნული ურთიერთობები და უშუალო შეხვედრები ბევრ რამეს წყვეტდა იმდროინდელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ამიტომ 1994 წელსვე აუცილებელი იყო

ელცინისა და დუდაევის პირისპირ შეხვედრა ვითარების სტაბილიზების მიზნით და არა მოსკოვის მხრიდან დუდაევის ოპოზიციის მხარდაჭერა, მათ შორის ცოცხალი ძალით, და, მით უმეტეს, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის დამყარების უზრუნველყოფის შესახებ პრეზიდენტის №2137 ბრძანების გამოცემა. (ჯანელიძე ნიკოლოზ, თანამედროვე ჩეჩნური ნაციონალიზმის ნიშნები და თავისებურებები, 2015, გვ. 69-70).

თუმცა ეს შეიძლება ასე არც მომხდარიყო, ვინაიდან, არსებობს მოსაზრება, რომ ფედერაციაში შემავალი ავტონომიებიდან რუსეთმა დემონსტრაციულად და სამაგალითოდ დასასჯელად შეარჩია ჩეჩნეთი, რომელიც ყველაზე შორს წავიდა სეპარატიზმის გზაზე. ჩეჩნეთის პირველი ომი, 1994 წელს, სწორედ იმ მიზანს ისახავდა, რათა სხვა პოტენციური სეპარატისტები დაეშინებინა. იმავდროულად, რუსეთი დემონსტრაციულად კეთილგანწყობილი და მომთმენი იყო დანარჩენი ავტონომიების მიმართ იმის მიუხედავად, რომ მაგალითად თათრეთი ან ყაბარდო-ბალყარეთი ზოგჯერ არანაკლებ სეპარატისტულ განზრახვებს ამჟღავნებდნენ. აღსანიშნავია, რომ თათრეთის პრეზიდენტმა - მინტიმერ შაიმიევმა აკრძალა რუსეთის არმიაში თათრეთის მაცხოვრებელთა გაწვევა, რათა მათ ჩეჩნეთის ომში არ მიეღოთ მონაწილეობა. (http://experti.ge/putinisdoktrina.htm).

ასეთმა პოლიტიკამ საშუალება მისცა რუსეთს, ერთის მხრივ სხვა ავტონომიათა ლოიალობა შეენარჩუნებინა, ხოლო მეორეს მხრივ ისინიც დაეშინებინა, რომ თუ ჭკუით არ იქნებოდნენ, მათაც ისეთივე საშინელი დღე ელოდათ, როგორც ჩეჩნებს. უნდა ითქვას, რომ ამ პოლიტიკამ რუსეთისთვის შესანიშნავი შედეგი გამოიღო: რაკი სამაგალითოდ დასჯილი ჩეჩნეთის უბედურების საკუთარ სახლში განმეორება არავის სურდა, შესაბამისად თათრეთმა, ყაბარდო-ბალყარეთმა და ყველა სხვა ავტონომიებმა, 90-იან წლებში, ელცინის ცნობილი მოწოდების შესაბამისად *(Возьмите столько суверенитета, сколько сможете проглотить! - აიღეთ იმდენი სუვერენიტეტი, რამდენიც შეგიძლიათ რომ გადაყლაპოთ!)* მიღებული სეპარატისტული კანონმდებლობა შეცვალეს და თავიანთი კონსტიტუციები რუსეთის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოიყვანეს ან მოაყვანინეს. (http://experti.ge/putinisdoktrina.htm)

აღნიშნული თავით მინდოდა მეთქვა, რომ თათრული და ჩეჩნური ქეისები ძალიან გავს ერთმანეთს, და რომ რუსეთს მხოლოდ თათრეთის პრობლემა არ აწუხებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი აქტიურად სეპარატისტული რესპუბლიკა ამჟამად პასიურობს არ ნიშნავს იმას რომ რუსეთში ყველაფერი მშვიდად იქნება, ეს მხოლოდ

დროის ფაქტორია, ვინაიდან ისლამიზმი დღითი დღე ძლიერდება ამ რეგიონებში და რაც მთავარია ამასთან ერთად, წარსული არავის ავიწყდება.

4. 4 ურთიერთობა ინდივიდებს შორის

სახელმწიფოს სტაბილურობისა და სიძლიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია მოსახლეობის ერთიანი ნება, საზოგადოებრივი ერთიანობა. რაც რუსეთის შემთხვევაში თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს.

ნაშრომის წერისას, ელექტრონული სტატიებისა თუ იუთუბზე განთავსებული ვიდეოების ქვემოთ, (რომელიც ეხებოდა თათრულ ნაციონალიზმს) აღმოვაჩინე ძალიან საინტერესო დისკუსიები ეთნიკურად თათარ და რუს ინტერნეტ მომხმარებელთა შორის. ამ დისკუსიებიდან ძალიან ნათლად ჩანს საზოგადოების დაყოფა, ძალიან აშკარაა ასევე ისიც, რომ რუსის და თათარის ერთ სახემწიფოში ცხოვრება შეუძლებელია, ვინაიდან ისინი აბსოლიტურად განსხვავებული ხალხია, როგორც მენტალურად, ასევე სულიერად. სწორედ ამიტომ, მინდა შემოგთავაზოთ ამ დისკუსიათაგან ყველაზე უფრო საინტერესო და მძაფრი, რომელიც თვალნათლივ გვაჩვნებს დაპირისპირების დონეს ინდივიდებს შორის.

ნიკოლაი ვარლამოვი, ნიჯათ ჰასანლი vs სერიოგა სავიჩევი (Николай Варламов, Nijat Hasanl, Серега Савичев), ვციტირებ:

- ნიკოლაი ვარლამოვი - ეთნიკურად იდენტურ (ერთიანი ისტორიით და რელიგიით) უკრაინელებს უნდათ თქვენგან (რუსებისგან) გამოყოფა/დაშორება და ჩვენზე (თურქ ხალხზე) რაღაა სალაპარაკო, რომელთაც რუსებთან არაფერი არ აქვთ და არც ქონიათ საერთო მტრობის გარდა.

- სერიოგა სავიჩევი - თქვენ ცხოვრობთ ძირძველ რუსულ მიწაზე, და ჩვენ დავიცავთ მას. ჩვენ შეგიფარეთ, გამოგკვებეთ და გაგათბეთ, თქვენ კი უმადურებო, მიწა გინდათ წაგვართვათ? არ გამოვა!

- ნიჯათ ჰასანლი - თათრები ვოლგისპირეთში სლავურ და ფინო-უგრულ ტომებზე ადრე ცხოვრობდნენ, რომელთა შერწყმასაც ახლა რუსები ქვიათ. 1552 წელს რუსეთმა მოახდინა ყაზანის (ახლანდელი თათრეთისა და იმ დროინდელი ყაზანის სახანოს დედაქალაქი) ოკუპაცია და წერტილი დაუსვეს მას, დაიწყეს რა კოლონიზატორული და თათარი ხალხის ასიმილაციის საქმე.

მაგრამ ეს იყო შუა საუკუნეები, ყველა ომობდა ერთმანეთთან. იყო დრო თათრული ეპოქის, შემდეგ მოვიდა რუსული ეპოქის დრო. ეს ნორმალურია იმ საუკუნეებისთვის. მაგრამ ახლა ხომ თანამედროვე ეპოქაა, მაგრამ მიუხედავად ამისა რუსეთს ახლაც არ უნდა თავის კოლონიზატორულ მიზნებზე უარის თქმა. რატომ არ უნდა ქონდეთ თათრებს და ჩეჩნებს დამოუკიდებელი სახელმწიფო. რატომ წაართვა (საქართველოს), აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და იცავს სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს, და თავის თათრებს და ჩეჩნებს ამის უფლებას არ აძლევს, როგორ გაიმართლებთ თავს თქვენი სინდისის წინაშე?

- სერიოგა სავიჩევი - მადლობა თქვით რომ არ გაქრით, როგორც ინდიელები და ჰავაის მიკრონეზიელები. რუსული სული გახსნილია და არც ისეთი მზაკვარია, როგორც აზიატოფითეკის (азиатопитэки). და თქვენ ამ თავხედური სურათით სარგებლობთ. თათრებს, იაკუტებს, ჩეჩნებსა და სხვებს არ შეუძლიათ სახელმწიფო დონეზე აზროვნება, მხოლოდ გამრავლების უნარი გააჩნიათ. არის აქვე კითხვა, რატომ გამრავლება? მეტი საქმე არაფერი აქვთ?! ეს უნდა გადაწყვიტოს ფედერალურმა მთავრობამ, ისე რომ შიდა საომარი კონფლიქტი აიცილოს თავიდან. რუსებმა და მხოლოდ რუსებმა ააშენეს ქალაქები, შექმნეს ინფრასტრუქტურა და გამოგიყვანეს თქვენ ხალხში, გაგაცნეს მეცნიერება, რუსებმა აითვისეს კოსმოსი და იცავენ თქვენს უკანალებს ნეგრებისა და სხვა სიბინძურისგან. და ის პურიც რომელსაც ჭამთ რუსულ მიწაზეა მოყვანილი.

- ნიჯათ ჰასანლი - მთლიანი სიკეთეებისა და მიღწევების ძირითადი ნაწილი (საავადმყოფოები, სკოლები, უნივერსიტეტები, ქარხნები, მეცნიერება და განათლება ყველასთვის) ბოლშევიკების გაკეთებულია (ქედს ვიხრი მათ წინაშე და ამისთვის მე პირადად მათ ვაფასებ) სსრკ-ს დროს რუსი იოსებ სტალინის ხელმძღვანელობით, აქამდე თავად რუსები ხომ მხოლოდ ეროვნულ-კასტური ერთობისა (თუ არ გჯერათ წიკითხეთ: მზარეულთა ბავშვების ცირკულარი“, სადაც ალექსანდრე მესამემ აკრძალა გარდა რუსი ეროვნებისა ყველასთვის განათლება, და ყველა დანარჩენს სიბნელეში ამყოფებდა რათა მათგან მიეღო მხოლოდ გადასახადები. წვრილთვალება აზიატი იაპონიის იმპერატორი მაიძი კი ამ დროს რეფორმას ატარებდა, რომელიც ყოველ იაპონელს, მისი წარმომავლობის მიუხედავად განათლების მიღებას ავალდებულებდა... და დღეს რუსები ყველგან სძულთ ზუსტად იმ მიზეზით, რომ მათ გააცოცხლეს და ცდილობენ ისევ კასტური სისტემა, ასევე მეცნიერების ადგილას ღმერთის კანონები (მართლმადიდებლურ-ქრისტიანული), განათლება - ფასიანია, მშვენიარი სამუშაოა - მხოლოდ ნაცნობობით, ყაჩაღური იპოთეკა, რომელიც საერთოდ გაგრძელებაა ბატონყმური კანონების, კრედიტები წლიური 200-300%,

ნულოვანი შედარება მუსლიმანურ ბანკებთან სადაც კრედიტი უპროცენტოა... და შენ გამოჩერჩეტებული რომ სხვადასხვა ხალხი თანახმაა ასეთ რუსულ ქვეყანაში იცხოვროს? თუ შენ ვერ ხედავ ამ ნაგავს ესეიგი არც შენ და არც რუსების უმრავლესობას სახელმწიფოებრივი აზროვნება არ გააჩნიათ.

- სერიოგა სავიჩევი - თათრეთს დაცვა არ უნდა? და ქალაქები ვინ აგიშენათ? ვინ მართავდა უნივერსიადებს? სადაა თქვენი მადლიერება?

- ნიჯათ ჰასანლი - როცა პოლოვცები (რომელიღაც ძველი ხალხი) ქალაქებს აშენებდნენ და სტეპებს ითვისებდნენ ანუ დეშთ-ი-ყივჩაყები, სლავები ტყეებში ცხოვრობდნენ, კიევისა და ნოვგოროდის გარდა რა თქმა უნდა. ასე გამოვიდა, რომ თათრულმა ძალამ დასუსტება დაიწყო, მოსკოვის მკვიდრებმა კი მცირე სლავური ტომები გააერთიანეს და უგრო-ფინელებთან ასიმილირებით დაიწყო ამ ტერიტორიებზე დომინირება. რა თქმა უნდა, ყოჩაღ, მაგრამ ახლა არაა ძალაუფლებისა და ომების საუკუნე, პირიქით ესაა ვაჭრობის, ტექნოლოგიებისა და თავისუფლების საუკუნე. რუსებიც და თათრებიც - დიდი ერებია, მაგრამ მათი კავშირის არსებობას მხოლოდ რუსები არ უნდა წყვეტდნენ, პირველ რიგში თავად თათრებს უნდა უნდოდეს ეს, შევთანხმდეთ ამაზე, კარგი? მადლიერებას რაც შეეხება - თათრეთი ერთ-ერთი ის იშვიათი სუბიექტია ფედერაციის, რომელიც არაა დოტაციური, პირიქით დონორია და აქედან თანხა ცენტრს ერიცხება, მისგან კი არ იღებს თანხებს. თათრეთის ნავთობი და მრეწველობა საკმარისია რომ არ იყოს ის რუსეთზე დამოკიდებული და არ გამოავლინოს მადლიერება. პირიქით ცენტრი უნდა იყოს თათრეთის მადლიერი თანხების გადარიცხვისთვის. (https://www.youtube.com/watch?v=Duzw9nHiJpk)

ასევე აღსანისნავია სხვა კომენტარებიც:

-გინდათ თავისუფლება?! წადით მონღოლეთში!

-იაკუტიის ალმასებით, ალტაისა და ხანტის გაზით... ციმბირული ალმასითა და გაზით... რუსები უსინდისოდ ქურდავენ ამ რესპუბლიკებს საუკუნეების განმავლობაში... მაგრამ არაფერია, მალე მოვიშორებთ რუსულ უღელს...

-რუსი ქურდები თათრეთიდან, ჩეჩნეთიდან, დაღესტანიდან იღებენ ნავთობს, ნავთობს რომელიც მათ არ ეკუთვნით.

როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან ჩანს დაპირისპირების დონე ეთნიკურად რუს და თათარ მოსახლეობას შორის საკმაოდ მწვავეა.

5. დასკვნა

ნაშრომი მიზნად ისახავდა, თათრეთში მიმდინარე ისლამიზაციის პროცესი წარმომეჩინა როგორც თათრული ეთნიკური ნაციონალიზმის შემცვლელ იდეოლოგიად და ცენტრთან ბრძოლის ახალ ინსტრუმენტად, ჩემი კვლევის მიზანი იყო პასუხი გაეცა კითხვისთვის არის თუ არა ისლამური ნაციონალიზმი უფრო ეფექტური გზა რუსული ფედერალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ვიდრე იყო ეთნიკური ნაციონალიზმი. როგორც ტექსტში გამოჩნდა ეთნიკური ნაციონალიზმი ვერ უზრუნველყოფს იმ მთავარი მიზნებისთვის ბრძოლას, რომლის მიღწევაც თათარ ხალხს სურს წლებია. შესაბამისად ეთნიკურმა ნაციონალიზმმა განიცადა ტრანსფორმაცია და ის უფრო ძლიერ, ეფექტურ იდეოლოგიად - ისლამურ ნაციონალიზმად ყალიბდება, ვინაიდან, როგორც ზემოთ დავინახეთ თათარ ნაციონალისტებს პერსპექტივა აღარ აქვთ. შესაბამისად, ისლამი არის ის ერთად - ერთი გამოსავალი რაც მათ აქვთ, გაერთიანდნენ ისლამური ქოლგის ქვეშ და იბრძოლონ უფრო რადიკალური მეთოდებით. თუ თათრეთში მართლა დაიწყება (თითქმის დაწყებულია როგორც ზემოთ დავინახეთ) ნაციონალური გრძნობების რადიკალურ ისლამთან ხორცშესხმა (ანუ ისლამის პოლიტიზაცია), რუსეთისთვის ეს იქნება ძალიან ძლიერი დარტყმა, ვინაიდან, როგორც ისლამიზმის მკვლევარი რაის სულეიმანოვი ამბობს, პრობლემა ისაა, რომ ტერორისტული საქმიანობისთვის არ არის საჭირო მებრძოლთა დიდი რაოდენობა. თეორიულად, ერთ ადამიანსაც შეუძლია მოაწყოს ძალიან დამანგრეველი ტერაქტი. ნამდვილად, თუ გავითვალისწინებთ ისლამური ფანატიზმის მასშტაბებს და რწმენას, რომ ჯიჰადში დაღუპული მუსლიმი პირდაპირ სამოთხეში ხვდება, ადვილი გასაგები ხდება ის საფრთხე, რასაც ისლამური ფუნდამენტალიზმი შეიცავს. მით უფრო, რომ მისი სამოქმედო გზა ტერორიზმია.

ნაშრომის დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ მაქსიმალურად ვეცადე ჩემს მიერ განხილული თემა მკითხველისთვის საინტერესო და ამომწურავი ყოფილიყო. კიდევ ერთხელ ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ნაციონალიზმის ქართველი მკვლევარებისთვის თათრეთის ქეისი არ არის ღრმად შესწავლილი, და მასზე თითქმის არ არსებობს ქართული ლიტერატურა, შესაბამისად ძალიან მცირეა აღნიშნულ თემაზე ინფორმაცია, ვფიქრობ, რომ ჩემი ნაშრომის სპეციფიურობას სწორედ ეს დეტალი წარმოადგენს. რაც შეეხება ჩემს ჰიპოთეზას, თუ რატომ არის ისლამური ნაციონალიზმი უფრო ეფექტური გზა რუსული ფედერალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ვიდრე იყო ეთნიკური ნაციონალიზმი, ვფიქრობ, რომ ძალიან კარგადაა ახსნილი ის ნაშრომში მოყვანილი სხვადასხვა არგუმენტებით.

ვფიქრობ, ამომწურავად გავეცი იმ კითხვებს პასუხი რაც შესავალში მქონდა დასმული. ტექსტი კი საინტერესო გამოდგა მკითხველისთვის, როგორც თავისი ინფორმაციულობით, ასევე მრავალფეროვანი ილუსტრაციებით.

გამოყენებული წყროები

აკობია ეკა, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისთვის, თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006, 100გვ.

http://www.aljazeera.com/indepth/opinion/2014/04/remembering-referendums-tatarst-201441791739224343.html

(ბოლოს ნანახია 26.06.2017)

http://www.apn.ru/index.php?newsid=36175

(ბოლოს ნანახია 26.06.2017)

http://www.archive.gov.tatarstan.ru/_go/anonymous/main/?path=/pages/ru/3ipd/guidebook/ipd_05./ipd_5.02

(ბოლოს ნანახია 26.06.2017)

http://www.archive.gov.tatarstan.ru/_go/anonymous/main/?path=/pages/ru/3ipd/guidebook/ipd_05./ipd_5.06

(ბოლოს ნანახია 26.06.2017)

დავითაშვილი ზურაბ, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. 2003. გვ. 106

დავითაშვილი ზურაბ ჰენდაუთები

https://eadaily.com/ru/news/2017/02/27/ekspert-ideologiya-islamizma-prodolzhaet-privlekat-musulman-iz-rossii

(ბოლოს ნანახია 26.06.2017)

http://experti.ge/putinisdoktrina.htm

(ბოლოს ნანახია 26..06.2017)

Gaisin I. T. , Gaisin R. I. & Biktimirov N. M., The Factors Affecting Pattern of Rural Settlement of the Republic of Tatarstan, 2015, p. 231, table 2

http://www.gks.ru/

(ბოლოს ნანახია 26.06.2017)

http://www.interfax.ru/russia/561974

(ბოლოს ნანახია 07.06.2017)

http://www.islamngy.ru/ru/?p=667 (სურათი 2)

(ბოლოს ნანახია 30.05.2017)

ჯანელიძე ნიკოლოზ, თანამედროვე ჩეჩნური ნაციონალიზმის ნიშნები და თავისებურებები, 2015, გვ. 69-70

Khurmatullin Azat, Islam and political evolutions in Tatarstan, The revival of Islam in Tatarstan: first steps, p. 8

Krindatch Alexey. Patterns of Religious Change in Postsoviet Russia: Major Trends from 1998 to 2003. Religion, State & Society, Vol. 32, No. 2, June 2004. p. 123

http://www.ling.helsinki.fi/uhlcs/LENCA/LENCA-2/information/tatarstan.html

(ბოლოს ნანახია 30.05.2017)

http://www.lomonosov-fund.ru/enc/ru/encyclopedia:0139041

(ბოლოს ნანახია 30.05.2017)

Mattew Allen Derrick, Placing faith in tatarstan, russia: islam and the negotiation of homeland, pp. 122-180 (სურათი 3, 4, 5, 6, 7)

http://www.mcclatchydc.com/news/nation-world/world/article24765139.html (სურათი 10)

(ბოლოს ნანახია 30.05.2017)

http://www.moldova.org/en/tatar-nationalists-ask-un-to-condemn-1921-famine-as-genocide-162937-eng

(ბოლოს ნანახია 26.06.2017)

http://mrd.gks.ru/wps/wcm/connect/rosstat_ts/mrd/ru/

(ბოლოს ნანახია 9.06.2017)

http://www.muslimpopulation.com/Europe/RUSSIA/Islam%20in%20RUSSIA.php

(ბოლოს ნანახია 30.05.2017)

http://www.ng.ru/faith/2016-12-14/3_6884_kartblanshe.html

(ბოლოს ნანახია 30.05.2017)

Nicolle David, Armies of the Volga Bulgars & Khanate of Kazan, 2013, p. 14

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=2253

(ბოლოს ნანახია 07.06.2017)

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5432

(ბოლოს ნანახია 07.06.2017)

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0--0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL1.21&d=HASH0f64c5131c97fee2265472.40

(ბოლოს ნანახია 07.06.2017)

http://pikabu.ru/story/chem_otlichaetsya_tatarskiy_natsionalizm_ot_russkogo_630416

(ბოლოს ნანახია 30.05.2017)

Ponarin E. Changing Federalism and the Islamic Challenge in Tatarstan. 2008. pp. 266 – 267

Ponarin E. The Potential of Radical Islam in Tatarstan. 2007

http://www.rbc.ru/newspaper/2014/03/17/56bf2fbc9a7947299f72d3f6

(ბოლოს ნანახია 30.05.2017)

http://www.3rm.info/23415-nacional-separatisty-iz-kazani-nashli-sponsorov-v-azerbaydzhane.html (სურათი 8)

(ბოლოს ნანახია 30.05.2017)

http://www.rod-pravo.org/islamskaya-severnaya-armiya-ig-obratilas-k-tataram/

(ბოლოს ნანახია 30.05.2017)

http://ruskline.ru/news_rl/2015/11/23/ya_by_otnosilsya_k_podobnym_ugrozam_ochen_serezno/

(ბოლოს ნანახია 30.05.2017)

Sharafutdinova Gulnaz, Chechnya Versus Tatarstan: Understanding Ethnopolitics in Post-Communist Russia, 2000, p. 15, table 1

http://www.sras.org/tatarstan

(ბოლოს ნანახია 26.06.2017)

http://tatarstan.ru/eng/about/economy.htm

(ბოლოს ნანახია 9.06.2017)

http://theperemechlounge.blogspot.com/2014/01/six-republics-of-middle-volga.html(სურათი1)

(ბოლოს ნანახია 30.05.2017)

http://www.worldpolicy.org/journal/summer2013/tatarstan-battle-islam-russias-heartland

(ბოლოს ნანახია 30.05.2017)

http://worldwarfour.org/show_2.shtml?id=188

(ბოლოს ნანახია 30.05.2017)

Yemelianova G. Islam and Nation Building in Tatarstan and Dagestan of the Russian Federation. 1999

https://www.youtube.com/watch?v=Duzw9nHiJpk

(ბოლოს ნანახია 26.06.2017)

http://zvezdapovolzhya.ru/obshestvo/rezolyutsiya-mitinga-g-kazan-21032015-21-06-2015.html (სურათი9)

(ბოლოს ნანახია 30.05.2017)